# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 25 სექტემბერი, 2012 წელი.

№183 (7059)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge
ვებ გვერდი: www.open.ge
ფასი 50 თეთრი.


# 1 ოქტომბერს ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ არჩევანი სიკეთესა და ბოროტებას შორის და შემოვხაზოთ 41!



**კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მიმართვა სამეგრელოს მოსახლეობას 2012 წლის 22 სექტემბერს**

② ④

# დაღვინებამდე დაძმარდნენ

## რაც პირველ ოქტომბერს უნდა დამთავრდეს!

ბოლო წლებში არასოდეს ამდენ მკითხველს რედაქციის კარი არ შემოუღია. თანაც ყველას არა პრეზიდენტივით და პარლამენტის თავმჯდომარესავით ყასიდად გაბრაზებულს, არამედ სულით ხორცამდე შეძრწუნებულსა და აღშფოთებულს.

დღეს მხოლოდ ერთ ამონარიდს გთავაზობთ ამ შეძრწუნებული და აღშფოთებული მკითხველის წერილიდან.

**ჩვენი ხალხი პირველად საბედისწეროდ მაშინ მოტყუვდა, როცა 2003 წლის ნოემბერში ირწმუნა ეგრეთ წოდებული „ვარდების რევოლუცია“ და ქვეყანა ანდო ჯერ კიდევ სრულიად უმწიფარ, უფრო სწორად, ოკეანედალეულ კარიერისტ ახალ თაობას, გამოუცდელს და აშკარად დასაღვინებელს.**

ერთი სიტყვით, ჩვენ იმ ბოინგში აღმოვჩნდით, რომლის ეკიპაჟს და, კერძოდ, პირველ პილოტს, ანუ ხომალდის მეთაურს, ამ შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილს, თვითმფრინავის მართვა აბსოლუტურად არ ესმოდა და არ ესმის....

ჩვენი ამჟამინდელი ეროვნული ტრაგედია გამოწვეულია სწორედ ამ სახელმწიფოებრივი მართვის უვიცობით და კიდევ იმით, რომ **დასაღვინებელი** ნაციონალები თავიანთ ასევე **დასაღვინებელ** ვაიბელადთან, ანუ მიხეილ სააკაშვილთან ერთად, **დაუღვინებლად დაძმარდნენ**.

აი, უშუალოდ ამის შედეგია, რაც ჩვენი დაუდევრობით გაპრეზიდენტებულმა მიხეილ სააკაშვილმა, მართლაც **დაღვინებამდე დაძმარებულმა**, ამ უმძიმესი და ანტიეროვნული ათი წლის განმავლობაში თან გვასვა და თან ცხვირიდან გვადინა ძმარი.

პირველ ოქტომბერს ეს უნდა დამთავრდეს! კიდევ ერთი დამღუპველი და ქვეყნის საბოლოოდ დამაქცევარი შეცდომა აღარ უნდა მოგვივიდეს. მერე ყველაფერი უკვე გვიან იქნება.

**ვახტანგ ლელუაშვილი,**
გორელი მევენახე

# ბურბონებს არც არაფერი დავიწყებიათ და არც არაფერი უსწავლიათ!

⑤

# დავიბენი, ჩემო პატრიარქო!

⑥



# 1 ოქტომბერს ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ არჩევანი სიკეთესა და ბოროტებას შორის და შემოვხაზოთ 41!

## კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მიმართვა სამეგრელოს მოსახლეობას 2012 წლის 22 სექტემბერს

**მივესალმები სამეგრელოს!**

**მივესალმები ზუგდიდს, ფოთს, აბაშას, სენაკს, მარტვილს, წალენჯიხას, ჩხოროწყუს, ხობს!**

**ზუგდიდიდან მივესალმები აფხაზეთს!**

**ზუგდიდიდან მივესალმები მთელ საქართველოს!**

**ზუგდიდიდან მივესალმები ჩვენს ხალხს, ჩვენს ტანჯულ პატიმრებს მთელი საქართველოს ციხეებსა და კოლონიებში!**

**ჩემო ხალხო, მთელი საქართველო ფეხზე დადგა. ჩვენ საბოლოოდ დავინახეთ სააკაშვილის რეჟიმის სახე. ამიტომ დღეს მე მივმართავ აღშფოთებისგან ყალყზე შემდგარ ჩვენს ახალგაზრდობას, ჩვენს შეურაცხყოფილ ხალხს და, ცხადია, ჩემი მიმართვა ჩვეულ კალაპოტს ვეღარ გაჰყვება. მე მოგიწოდებთ სიდინჯისაკენ, სიმშვიდისაკენ, მაგრამ არა — ამ დანაშაულის დავიწყებისაკენ!**

**სააკაშვილის რეჟიმის მთელი სისასტიკე სწორედ აქ, ზუგდიდში იგრძნობა ყველაზე მძაფრად. სწორედ აქ, ზუგდიდის ცენტრში დგას ადამიანის დამცირებისა და უსამართლობის განსახიერება — ზუგდიდის ციხე. ეს ციხე ნესტიანია და ბინძური, იქ ადამიანებს აწამებენ.**

**ეს ციხე თითქოს იმისთვის დგას, რომ ვინც გაბედავს და სააკაშვილის რეჟიმს და აქაურობაზე გაბატონებულ ერთ ოჯახს — ახალაიების ოჯახს დაუპირისპირდება, ახსოვდეს, რომ ამ ციხეში ჯოჯოხეთი ელოდება.**

**იმისათვის, რომ ადამიანებს დასაჭერად საბაბი გამოუნახონ, ნარკოტიკს უგდებენ უტიფრად ან რაიმე სხვა შარს მოსდებენ ხოლმე, რადგან არ აწყობთ ჰყავდეთ პოლიტიკური პატიმრები დასავლეთის დასანახად. ესენი ხომ დემოკრატობანას თამაშობენ, მაგრამ მათი უკვე აღარც დასავლეთს სჯერა.**

**ყველამ ნახეთ, ნახეთ და მოისმინეთ, რა ხდება საქართველოს ციხეებში. თავზარდამცემია კადრები, როგორ აწამებენ, აუპატიურებენ უსუსურ პატიმრებს — ბიჭებს და კაცებს! გესმით, თქვენ, ეს რას ნიშნავს?! ფეხქვეშ არის გათელილი ადამიანის ღირსება! ეს არის მთელი ერის შეურაცხყოფა!**

როგორ არ გავიხსენო ვაჟას სიტყვები „ბახტრიონიდან“ — „მთელი კახეთი ქცეულა ჩიქილამოხდილ ქალადა“ — ამათ უნდათ მთელი საქართველო ასეთად რომ აქციონ! ამის შემდეგ კიდევ მოუძებნიან მომხრეები გამართლებას სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას?! სინათლე აგვინთო, გზები დაგვიგო და დასავლეთისკენ გაგვიღო კარიო, რომ ამბობდნენ სააკაშვილის მომხრეები, ხომ ნახეს, რომ სინათლე და გზები კი არა — წამება მოიტანა, ქართველი კაცის გაუპატიურება მოიტანა სააკაშვილმა!

**ხალხო, უნდა გავაცნობიეროთ, რომ მისი ყოველი მომხრე, თითოეული ადამიანი, ვინც კიდევ რაიმე გამართლებას მოუძებნის სააკაშვილს, თვითონ იქნება უსასტიკესი დანაშაულის თანამონაწილე! ამის შემდეგ, ვინც ამ ჯალათებს ოდნავ მაინც გაამართლებს, თვითონ იქნება ჯალათი!**

**ახლა მაინც ხომ საბოლოოდ დაინახავს დემოკრატიული დასავლეთი, თუ რას წარმოადგენს სააკაშვილი, აქაური „დემოკრატიის შუქურა“. ახლა ხომ მაინც დარწმუნდება, რომ ამ ქვეყანას ჯალათი მართავს!**

**როგორ შეიძლება, ქართველებმა ეს სირცხვილი ჩამოვირეცხოთ?**

**სააკაშვილიც შეშფოთებულია, მაგრამ ის მხოლოდ იმიტომაა შეშფოთებული, რომ ამ ინფორმაციამ გაჟონა, კი არ გაჟონა, პირდაპირ ამოხეთქა და მთელ ქვეყანას მოედო. მან ახლა შეცდომად და სისტემის მარცხად მონათლა ყველა საშინელება, რაც საპყრობილეებში ხდება.**

ახლა ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთის მიყოლებით თავს იმართლებენ, რომ თითქოს რაღაც გამორჩათ, რაღაც შეეშალათ, მაგრამ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მაინც არ იღებენ. არაფერიც არ გამორჩათ! არაფერიც არ შეეშალათ! ეს ყველაფერი მათი დაგეგმილია, ეს ყველაფერი მათი დავალებით ხდებოდა!

**სტუდენტების, ჩვენი ახალგაზრდების პროტესტმა მოიტანა ის, რომ ორი მინისტრი გადადგა. მათ შორის ერთი ბაჩო ახალაიაა. ახალაიების კლანს ბზარი გაუჩნდა, ბზარი გაუჩნდა სააკაშვილის რეჟიმს. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, ეს კარგად იციან ჩვენმა ახალგაზრდებმა და ბაჩო ახალაიას გასამართლებას მოითხოვენ.**

**ამათი პასუხისგების დღე მოახლოვდა, პირველი ოქტომბერი. მხოლოდ ამ დღის ეშინიათ. იმიტომ ეშინიათ, რომ პირველი ოქტომბრის შემდეგ მათ კანონის მთელი სიმკაცრით მოუწევთ პასუხისგება. და რადგან ამ დღის ცეცხლივით ეშინიათ, ამიტომ ცდილობენ, რომ ხალხის აღშფოთება ისევ თავის სასარგებლოდ გამოიყენონ და მას თავისი ხელით ჩააშლევინონ არჩევნები.**

**მათ არჩევნების ეშინიათ, რადგან არჩევნების შემდეგ ხელისუფლება ხალხის გახდება და ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა დაიწყება. მათ კანონის ეშინიათ, ამიტომ უნდათ, რომ უკანონობა ხალხს ჩაადენინონ და რაიმე საბაბით არჩევნების ჩატარება დანიშნულ დღეს შეუძლებლად გამოაცხადონ. ამიტომ მოვიკრიბოთ კეთილგონიერება, შევიკავოთ თავი არჩევნებამდე და შემდეგ სამართლიანი კანონის ძალით ვაგებინებთ ამ დამნაშავეებს პასუხს.**

**თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ მეტი საშინელება არა აქვთ ჩადენილი? ხალხო, ჩვენ რაც ვნახეთ, მხოლოდ მცირე ნაწილია მათი ურიცხვი უმძიმესი დანაშაულისა.**

ან აქ, სამეგრელოში რამდენი დანაშაული აქვთ ჩადენილი, თქვენ მაინც ხომ იცით. ამათი ხელისუფლების რომელი წევრი არაა გასვრილი უბინძურეს დანაშაულში? ვინმეს ხომ არ ჰგონია, დეპუტატი ნაციონალები არ მონაწილეობენ ყველა ამ სიმხეცეში? ისინი თავისი ხელით თუ არ აწამებდნენ უსუსურ ადამიანებს, სამაგიეროდ, ყველა ხერხით აყალბებდნენ ყველა არჩევნებს თავის სასარგებლოდ და ამით გზას უხსნიდნენ ჯალათებს ადამიანების საწამებლად.

ესენი წლების განმავლობაში სწორედ ამ სისტემას აშენებდნენ, აშენებდნენ შეგნებულად, რადგან მარტო დაუნდობლობასა და ძალადობას შეეძლო მათთვის უსაზღვრო ძალაუფლებისა და კეთილდღეობის მოტანა.

**ის, რაც ჩვენ ამ დღეებში ვნახეთ, დანაშაულია კაცობრიობის წინაშე!**

**უსამართლობის ტყვეობაშია მთელი სამეგრელო, უსამართლობის ტყვეობაშია მთელი საქართველო. დაგითვლიათ, რამდენი პატიმარია ციხეებსა და კოლონიებში გარდაცვლილი სასტიკი მოპყრობისა ან დაუნდობელი გულგრილობის გამო? ეს შეწყდება, ჩვენ შევწყვეტთ ამას!**

**ჩვენ სამართლიანობას აღვადგენთ. ჩვენ სამართლიან მართლმსაჯულებას დავამკვიდრებთ აქ, ზუგდიდში, სამეგრელოში და მთელ საქართველოში!**

კარგად დააკვირდით - ქურდული სამყარო კი დამარცხდა, მაგრამ იგი კლანურ-მაფიოზურმა ხელისუფლებამ ჩაანაცვლა. სამეგრელოში და განსაკუთრებით ზუგდიდში ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რაზეც ახლა ვლაპარაკობ!

რატომ უნდა იყოს აქ ამდენი პრობაციონერი? მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ პრობაციონერებსა და მათ ახლობლებს თავის სამსახურში ჩააყენებს. მაგრამ არ მოხდება ასე, აღარ მოხდება!

ბოლო დროს ზოგი პატიმარი გაათავისუფლეს, რათა არჩევნების გაყალბებაში გამოიყენონ, მაგრამ განა მათ არ ესმით, რომ სააკაშვილის ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, პირველ რიგში, მათი ღალატია, ვინც პატიმრობაში დარჩა და ციხეებში იტანჯება. ადამიანებო, ნუ მოემსახურებით ნაციონალურ მოძრაობას და ახალაიების კლანს, თქვენ არაფრით არ ხართ მათგან დავალებული!

თქვენ მათ გაქციეს პატიმრებად, ახლა კი მონებად უნდათ რომ გაქციონ. მივმართავ პრობაციონერებს: ნუ შეგეშინდებათ მათი, რადგან მათი დრო წასულია. გახსოვდეთ, რომ მრავალ თქვენგანს სრულიად კანონიერად სასწრაფოდ უნდა მოეხსნას პირობითი სასჯელის მძიმე ბორკილები. გპირდებით, რომ თქვენ დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო გაგათავისუფლებთ. ადამიანი, პირველ რიგში, თავისუფლებისთვის იბადება, და არაფერია იმაზე საშინელი, ვიდრე თავისუფლების უკანონოდ წართმევა და თავისუფლებით ვაჭრობა.

**ერთი კლანის ხელში როგორ უნდა ჩავარდნილიყო სამეგრელო, ერთი ჯალათი ოჯახის საპარპაშოდ როგორ უნდა გადაქცეულიყო ზუგდიდი! ახლა აქ არც დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება არსებობს და არც ადამიანის უფლებათა დამცველს აქვს რაიმე ძალა და გავლენა სამეგრელოში. მეგრელებო, სამართალი წაახდინეს სამეგრელოში! სამართალი აღარ არის საქართველოში.**

**ჩემო მეგრელებო!**

**ილია ჭავჭავაძის სიტყვები მინდა გაგახსენოთ: „სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე — დიდი საქართველო! ბევრი ჭირი უნახავს საქართველოს, მრავალს ქარტეხილს გადაუვლია მის ზურგზედა... ...მტერთა მისთა დამთრგუნველი სამეგრელო იყო, იგი იყო ერთსული და ერთგული იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდება. ასე იყო წინეთ, ეგრე არის ახლა, ეგრე დარჩება მომავალშიც“.**



მართლაც ასე იყო: როცა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ან დანაწევრებული საქართველოს აღდგენისა და გამთლიანების იდეა იბადებოდა, სამეგრელო თავის ღირსეულ როლს ასრულებდა.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, როდესაც ფარნავაზ I-მა ქართლის სამეფოს დაარსება განიზრახა, მან დახმარება და თანადგომა ეგრისის მმართველ ქუჯის სთხოვა. ჩვენი ამ ორი დიდებული წინაპრის შეთანხმებულმა გეგმამ და საერთო ძალისხმევამ საერთო ქართული სახელმწიფო წარმოშვა.

საუკუნეების შემდეგ, როცა კიდევ ერთხელ გახდა საჭირო ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენა, ეგრის-აფხაზეთის დიდგვაროვანთა ნებამ გადაწყვიტა ბაგრატ მე-3-ის გამეფება და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა.

გიორგი ჭყონდიდელი იყო უდიდესი ქართველი მეფისა და მეომრის, დავით აღმაშენებლის აღმზრდელი და მისი მთავარი თანამოაზრე.

**საქართველოსთვის თავგანწირვისა და ღირსების მაგალითი იყო ცოტნე დადიანის გმირობა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას ცხოვრება, რომელმაც სიცოცხლე ამ სიტყვებით დაამთავრა: „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული სამშობლოს, ჩემი გვამი კი თქვენთვის დამითმია, მტარვალებო!“ — ბოლშევიკებს მიმართა ასე!**

**საბჭოთა იმპერიასთან ბრძოლას, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას შესწირეს სიცოცხლე მერაბ კოსტავამ და დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ და, რა სამწუხაროა, რომ დღეს ეს ღირებულებები — თავისუფლება და ღირსება — ისევ თავიდან უნდა მოვიპოვოთ.**

**პოლიტიკაში ჩემი მოსვლის მიზეზი არა ერთხელ ვთქვი — მინდა შევაჩერო ეს განუკითხაობა, ჩემი ხალხის უღირსებო ყოფა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩემი ქვეყანა მინდა ფეხზე დავაყენო. ფეხზე დაყენებას რომ ვამბობ, პირველ რიგში, სამოქალაქო საზოგადოების შექმნას და გაძლიერებას ვგულისხმობ, რაც ევროპული, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთი საფუძველია.**

რაც პოლიტიკაში ჩავები, ყოველდღიურად ვხედავ, თუ როგორ მიდის წინ ჩვენი საზოგადოება სამოქალაქო საზოგადოებისკენ. ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, პირველ რიგში, სამოქალაქო სოლიდარობას გულისხმობს. აი, ასეთი სოლიდარობის ნიშნები შეიმჩნევა უკვე ჩვენს საზოგადოებაში და ამის მაგალითს ახლავე მოგახსენებთ.

აქ, ახლა ჩვენთან ერთად არის კაცი, ყოფილი პოლიციელი, რომელიც რამდენიმე თვის წინ სხვა 14 პოლიციელთან ერთად პოლიტიკური ნიშნით დაითხოვეს სამსახურიდან. ეს კაცი პირნათლად ემსახურებოდა სახელმწიფოს, თავის სამშობლოს. მაგრამ, როგორც კი მას ერთი პარტიის სამსახურში ჩადგომა და უკანონო დავალებების შესრულება მოსთხოვეს, მან უარი თქვა ასეთ სამსახურზე და უმუშევარი დარჩა.

აი, ამ კაცს და დანარჩენ 13 პოლიციელსაც დაუდგნენ გვერდში არასამთავრობო ორგანიზაციები, ჩვენი მოქალაქეები, ხელი გაუმართეს და ულუკმაპუროდ დარჩენას გადაარჩინეს.

სწორედ ეს მაფიქრებინებს, რომ ჩემი არჩევანი, ჩემი პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება სწორია — საქართველო გახდება დემოკრატიული ქვეყანა და მასში ნამდვილი, ღირსეული სამოქალაქო საზოგადოება იცხოვრებს.

**ჩემო მეგრელებო, კარგად ვიცი, რა ტრაგედია გამოიარა სამეგრელომ 90-იან წლებში. ეს იყო წლები, როდესაც ახალგაზრდა სახელმწიფოს სამართლიანობისა და კანონიერების დაცვა არ შეეძლო. სახელმწიფომ თქვენ ვერ დაგიცვათ და უამრავი შეცდომაც დაუშვა. უამრავი სისასტიკე, უამრავი ძალადობა მოხდა აქ, სა-**

მეგრელოში. ჩვენ ამ ამბავს აუცილებლად გამოვიძიებთ და სამართლიანობას აღვადგენთ!

სამეგრელო ნელ-ნელა იშუშებდა იარებს, როცა 2008 წელს ახალი უბედურება დაატყდა თავს. თქვენ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ განსაცდელსაც ღირსეულად გაუძელით.

მაგრამ ზუგდიდელებს ისიც კარგად გახსოვთ, როგორ მიატოვა ქალაქი ადგილობრივმა ხელისუფლებამ, როგორ გაიქცნენ ნაციონალები და მოსახლეობა მტერს შეატოვეს ხელში.

ამ ომმა ახალი დევნილები, ახალი დაკარგული ტერიტორიები მოგვიტანა.

ომების შედეგია ის, რომ ათიათასობით მოქალაქე თავისი სახლ-კარიდან აიყარა და თავისივე სამშობლოში დევნილად იქცა. ერთი შეხედვით, როგორ პირობებში უწევთ ჩვენს თანამემამულეებს ცხოვრება. ამას ბოლო უნდა მოეღოს, და მოეღება კიდეც.

დევნილებისთვის ფულადი ან სხვა სახის დახმარების გამოყოფამ სამარცხვინო პოლიტიკური კორუფციის სახე მიიღო — დევნილებს ყველანაირ დახმარებას ხელისუფლება პოლიტიკური ერთგულების სანაცვლოდ უწევს.

მრავალი დევნილი ოჯახი იძულებით ჩაასახლეს ისეთ სოფლებში, სადაც არ არის ცხოვრებისა და საქმიანობის მეტ-ნაკლებად ნორმალური პირობები, ათასობით დევნილი კუთვნილი სტატუსის მიღებაც ვერ მოახერხა, ხოლო კომპენსაციისა და ბინების საკუთრებაში გადაცემის ნაცვლად საერთოდ დაკარგა სოციალური შეღავათები.

დევნილ მოქალაქეებზე, ომების ვეტერანებსა და დაღუპულთა ოჯახებზე ზრუნვა, მათთვის განსაკუთრებული შეღავათების დაწესება სახელმწიფოს კეთილი ნებაზე კი არ უნდა იყოს დამოკიდებული, არამედ ეს მისი ელემენტარული ვალდებულება უნდა იყოს.

**ეს ხელისუფლება უამრავ თანხას ხარჯავს გასართობ ღონისძიებებზე მაშინ, როდესაც ომების შედეგად დაზარალებულთა უმეტესობა უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს.**

**სახელმწიფომ ვერაფერით მოახერხა, რომ ამ ადამიანებს, თუნდაც დევნილობაში, ღირსეულად ცხოვრება შეძლებოდათ. სააკაშვილის ხელისუფლება უსახლკაროდ დარჩენილ დევნილებს აქეთ-იქით ნახირივით მერეკება. სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ შეურაცხყოფილმა, სოხუმიდან დევნილმა ნანა ფიფიამ საქართველოს განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან დაიწვა თავი!**

**ეს უნდა შეწყდეს, ამას ჩვენ მოვუღებთ ბოლოს!**

ჩვენ ყველა პირობას შევუქმნით დევნილებს საიმისოდ, რომ ღირსეულად ცხოვრება შეძლონ, აღარ იყვნენ ხელისუფლების შემწეობასა და მოწყალებაზე დამოკიდებული.

მე გპირდებით, რომ ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგ, ვეღარასოდეს და ვეღარავინ გააგდებს, როგორც ეს ხდება ქუჩაში, მათ დაუკითხავად გადაყვანთ! ვეღარავინ გაბედავს მათ დამცირებას და შეურაცხყოფას!

სიტყვას ვაძლევ ჩვენს ყველა დევნილს, რომ როგორც კი ხელისუფლებაში მოვალთ, მაშინვე ყველას დავუკანონებთ იმ ფართობებს, რომლებშიც ახლა ცხოვრობენ და მათთვის შევქმნით საშუალებას, დაგეგმონ თავიანთი ცხოვრება, თავიანთი მომავალი, მანამდე, ვიდრე დროებით დაკარგულ სახლ-კარს დაუბრუნდებიან.

**როგორც ზედმეტ ბარგს, ისე ეპყრობა სააკაშვილი ვეტერანებს. ხოლო როდესაც ვეტერანები თავიანთ უფლებების დაცვას ხმამაღლა ცდილობენ, მათ საქვეყნოდ სცემენ და შეურაცხყოფენ სააკაშვილის ხელქვეითი ჯალათები.**

**ამას „ქართული ოცნება" ბოლოს მოუღებს. ჩვენ იმისთვის მოვდივართ ხელისუფლებაში, რომ დამსახურება არ დაეკარგოს არც ერთ ჩვენს მოქალაქეს, მით უფრო — ჯარისკაცს.**

**ჯარისკაცი ის ადამიანია, რომელიც მზადაა სიცოცხლე გაიღოს თავისი ქვეყნისა და ხალხის დასაცავად. ჯარისკაცი თავს სწირავს სხვა ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად.**

**მეტი კეთილშობილება რა უნდა იყოს, ხალხო! და შეიძლება ეს თავგანწირვა, ეს კეთილშობილება არ დავუფასოთ მათ, ჩვენს სამხედროებს!**

მათ კი, ჩვენმა საამაყო და მოკრძალებულმა ჯარისკაცებმა არასოდეს არ უნდა დაივიწყონ, რომ ისინი მხოლოდ და მხოლოდ ხალხს და ქვეყანას ემსახურებიან, და არა რომელიმე ხელისუფლებას.

პირიქით, ხელისუფლება თავად უნდა ემსახუროს თავის თავდადებულ ჯარისკაცებსა და მათ ოჯახებს. და ეს ასეც იქნება, როცა ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში.

**ვეტერანებისა და ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახების მიმართ გამოჩენილ უმადურობას არავინ შეარჩენს ამ ხელისუფლებას. „ქართული ოცნება" მოვა ხელისუფლებაში და აღუდგენს შეღავათებს ვეტერანებსაც და მარჩენალდაკარგულ ოჯახებსაც. ჩვენ აღვადგენთ ასევე ომების ვეტერანთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის სისტემას, რომელიც ამ ხელისუფლებამ მოშალა.**

ჩემო მეგობრებო, ჩემო მრავლისმნახველო მეგრელებო!

**ოცი წელია, რაც დამოუკიდებელ საქართველოში ნებისმიერი არჩევნების წინ პოლიტიკოსები ხალხს ჰპირდებიან ძალიან ბევრს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი წარმოუდგენლად ცოტას აკეთებენ ხალხისთვის, თორემ, თავის თავზე ზრუნვა რომ არ ავიწყდებათ, ეს ვიცით ყველამ.**

**ჩვენ, „ქართული ოცნება", ხელისუფლებაში მოსვლამდე გპირდებით მხოლოდ და მხოლოდ იმას, რისი გაკეთებაც ახლავე შესაძლებლად მიგვაჩნია. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი გავაკეთებთ გაცილებით მეტს, ვიდრე გპირდებით.**

**ჩვენ გავაორმაგებთ სოციალურ დახმარებას და მას მიიღებს ყველა, ვისაც ეს ნამდვილად სჭირდება. ჩვენ პენსიებს საარსებო მინიმუმს გავუტოლებთ, ხოლო საარსებო მინიმუმიც გადაიხედება და რეალურს გაუთანაბრდება.**

**პირველ რიგში, რასაც სასწრაფოდ უნდა მივხედოთ, როგორც არაერთხელ ვთქვით, ეს არის ჯანდაცვა, განათლება და სოფლის მეურნეობა.**

**ჩვენ ვაცხადებთ, რომ ძლიერი სოფელი ძლიერი ქვეყნის საწინდარია. „ქართულ ოცნებას" დაგეგმილი აქვს, ააღორძინოს ქართული სოფელი და ამისათვის შექმნას ერთმილიარდიანი ფონდი. ამ ფონდის დახმარებით სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანები ისარგებლებენ გრძელვადიანი, ხელმისაწვდომი და შეღავათიანი სესხებით.**

დღეს მონოპოლიზებულია თხილის ბიზნესი, ჩაბარების ფასები ხელისუფლებისგან ხელდასმული ერთი ჯგუფის ხელშია და ამ ჯგუფის გადასაწყვეტია, რა ფასად ჩაიბარებს თხილს, და თქვენც იძულებული ხართ, ჩალის ფასად ჩააბაროთ მოსავალი. ეს უნდა დამთავრდეს!

ერთი მცირე ჯგუფი ვეღარასოდეს გადაწყვეტს ვერც ერთი ადამიანის ბედს. ყველას ექნება საკუთარი შრომით ოჯახის ღირსეულად რჩენის შესაძლებლობა. მე გპირდებით ამას!

სამეგრელოში სოფლის მეურნეობის არა ერთი დარგი იყო განვითარებული, დღეს კი ჩაით, ციტრუსითა და თხილით განთქმული მხარე თითქმის გაპარტახებულია.

ამის ყურება მე გულგრილად არ შემიძლია. როცა სამეგრელოს დახმარების გეგმას განვიხილავდით, მე დამარწმუნა ირაკლი ალასანიამ, ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატმა, რომ პრობლემის მოგვარება ზუგდიდიდან უნდა დაგვეწყო, რადგან სწორედ ზუგდიდია ადმინისტრაციული საზღვრისპირა ქალაქი.

**ამიტომ ჩვენ შევთანხმდით, რომ ზუგდიდის ეკონომიკაში ჩავდებთ 100 მილიონ ლარს, რათა შესაძლებელი გახდეს მცირე და საშუალო საწარმოების შექმნა, რათა შვება მიეცეს მშრომელ მოსახლეობას, ბიზნესიც განვითარდეს და უამრავი სამუშაო ადგილიც შეიქმნას.**

**იმ კომპანიებმა, რომლებიც აქ გადაწყვეტენ საქმიანობას, უნდა აიღონ ვალდებულება, რომ ადგილობრივ მუშახელს მიანიჭებენ უპირატესობას. ეს აუცილებელი იქნება მათთვის.**

**დარწმუნებული ვარ, რომ სწორად გათვლილი და გააზრებული პოლიტიკით ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას და მერე ვეღარავინ შეძლებს, შეაფერხოს საქართველოს წინსვლა თანამედროვე სამყაროსკენ, დემოკრატიისკენ!**

არავისთვისაა უცხო, რომ დღეს ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ჯანმრთელობის დაცვის ელემენტარული პირობებიც არ არსებობს, ისინი სრულიად მიტოვებული არიან სახელმწიფოსაგან. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ადამიანები უექიმობისა და უწამლობის გამო იღუპებიან.

**ჩვენ გპირდებით, რომ სახელმწიფო აიღებს ვალდებულებას და იზრუნებს საქართველოს თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობაზე! ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის უკლებლივ ყველა მოქალაქეს ექნება სამედიცინო დაზღვევის პაკეტი.**

ჩვენ ჩვენს ხალხს ადამიანურად ცხოვრების საშუალებას მივცემთ და არაფერს დავაყვედრით, იმიტომ რომ კარგად ვიცით, რომ ეს ხელისუფლების ვალდებულებაა.

**სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდება განათლების სფერო, და თქვენ ნახავთ, რომ ყველა სოფელში აღდგება უფასო ბაგა-ბაღები და სკოლები.**

**ჩვენ ასევე გავაიაფებთ სკოლის სახელმძღვანელოებს. ჩვენ შევქმნით მექანიზმებს იმისათვის, რომ ნიჭიერ ახალგაზრდას შეეძლოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება, იმისგან დამოუკიდებლად, აქვს თუ არა საამისო ფული მის ოჯახს.**

**მე კარგად მაქვს გააზრებული, რომ განათლება მთავარია — ქვეყნის მომავალი განათლების გარეშე წარმოუდგენელია.**

ყველაზე მეტად მაინც მედიცინაში გაითქვეს მეგრელებმა სახელი. სამეგრელოდანაა არა ერთი მსოფლიოში სახელგანთქმული ექიმი.



მე პირობას გაძლევთ, მეგრელებო, რომ ყველაფერს ვიღონებ, რომ ეს დიდი ტრადიცია გაგრძელდეს და ამ კუთხის შვილებს კვლავ მიეცეთ უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღების საშუალება, ოღონდ ამჯერად უკვე აქ, ზუგდიდში.

**ზუგდიდში შეიქმნება საერთაშორისო, კავკასიის რეგიონისთვის განკუთვნილი სამედიცინო ცენტრი და სასწავლებელი. ეს გეგმა უკვე გავაცანით საქართველოში და საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც სამედიცინო სფეროში საქმიანობენ. ჩვენ მათი მხარდაჭერაც მივიღეთ.**

**სამედიცინო ცენტრისა და სასწავლებლის მშენებლობა 2013 წლიდან გვინდა დავიწყოთ. მთავარი კი ისაა, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის მკურნალობაც და სწავლაც სრულიად უფასო იქნება, ისევე როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მსურველისათვის.**

**აი, ეს არის გასაკეთებელი, ეს არის ის, რაც აუცილებლად სჭირდება სამეგრელოსაც, აფხაზეთსაც და მთლიანად საქართველოსაც.**

სწორედ აქ, სამეგრელოში, უნდა ჩაეყაროს საფუძველი აფხაზეთის დაბრუნებას. ჩვენ ვიპოვით ღირსეულ გამოსავალს ამ ვითარებიდან — ჩვენ, აფხაზებთან ერთად.

**საქართველოში აფხაზეთი თავისი ნებით უნდა დაბრუნდეს, და, რაც მთავარია, აფხაზები საიმედო, რეალური და სასურველი მომავლის წყურვილმა უნდა მოიყვანოს ჩვენთან.**

მხოლოდ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების მიმზიდველმა პერსპექტივამ უნდა აღადგინოს დარღვეული კავშირი. სამეგრელოს აყვავებამ აფხაზები იმაში უნდა დაარწმუნოს, რომ საქართველოდან განცალკევება მხოლოდ თავისი საკუთარი, უკეთესი და უსაფრთხო მომავლისათვის ზურგის შექცევას ნიშნავს.

**ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ საქართველო ვაქციოთ ისეთ ქვეყნად, სადაც ყველა ღირსეულად იცხოვრებს.**

**როდესაც ჩვენ ჩვენს ქვეყანას ნამდვილად დემოკრატიული, ევროპული ტიპის სახელმწიფოდ გადავაქცევთ, მაშინ ჩვენს აფხაზ ძმებსაც ჩვენკენ გამოუწევთ გული და უცხო ქვეყანას აღარ შეეკედლებიან.**

ჩვენი დევნილები უნდა დაბრუნდნენ აფხაზეთში, თავის სამშობლოში, თავის მიწა-წყალზე! ეს მოხდება იმიტომ, რომ განვითარებული სამყარო სამართლიანობის ეპოქას ქმნის, და ამ ეპოქაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება აუცილებელია ყველა ქართველისთვის და აფხაზისთვის, ვისაც წინსვლა და განვითარება უნდა.

**ჩვენ ახალი, და არა მოჩვენებითი და ხელოვნური, არა სისხლიანი და ცბიერი, არამედ ნამდვილად სამართლიანი და მართლა განვითარებული ქვეყანა უნდა ავაშენოთ, და ავაშენებთ კიდეც!**

ჰოდა, ახლაც, როგორც ოდესღაც, ითავოს და გაგვიძღვეს წინ სამეგრელო მთელ საქართველოს!

**დღეს მინდა ზუგდიდიდან მივმართო აფხაზებს.**

**ჩვენ, ქართველებმა და აფხაზებმა, ერთმანეთის სისხლი დავღვარეთ. ამას გამართლება არა აქვს. ჩვენ აუნაზღაურებელი მსხვერპლი გავიღეთ. მაგრამ ახლა დადგა დრო, როცა ურთიერთობის აღდგენაზე უნდა ვიზრუნოთ.**

**საერთო მომავალზე უნდა ვიზრუნოთ. დრო არ ითმენს, ცივილიზებული სამყარო სწრაფად ვითარდება. ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს, და ეს, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, უნდა გამოვიყენოთ.**

**მეგრელებსა და აფხაზებს ერთი საოცარი წეს-ჩვეულება ჰქონდათ - მორდუობა. იმიტომ, რომ კარგად ესმოდათ მშვიდობიანი თანაცხოვრების ფასი, მეგრელი და აფხაზი დედები ძუძუს აწოვებდნენ ერთმანეთის შვილებს. რა შეიძლება იყოს ამაზე მეტი?**

**აი, ასეთი წარსულის გათვალისწინებით, ჩვენი მთავარი მიზანი ერთმანეთის ნდობის მოპოვება იქნება.** პირველ რიგში, დავეყრდნობით იმ განწყობას, რომელიც აფხაზებს განსაკუთრებით სამეგრელოს მიმართ აქვთ შენარჩუნებული. ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ და წარმატებას მივაღწევთ ამ საქმეში. ჩვენი გუნდი იმდენად ძლიერია, რომ პირდაპირ შეგვიძლია დავიწყოთ ეს საქმე, რადგანაც ამის რეალური რესურსი გვაქვს.

**ჩვენი გუნდი ჰპირდება აფხაზეთს, რომ რკინიგზისა და საავტომობილო ტრასის აღდგენაზეც ვიფიქრებთ. რკინიგზა და საავტომობილო ტრასა ქართველებსაც და აფხაზებსაც გაუხსნის გზას რუსეთის ბაზრისკენ.**

ეს ხელს შეუწყობს როგორც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ისე აფხაზ ბიზნესმენებსაც მისცემს თავიანთი ბიზნესის განვითარების საშუალებას და მათ ქართულ ეკონომიკაში მონაწილეობით დააინტერესებს.



ჩვენ ასეთ გეგმას შევთავაზებთ აფხაზებს: გამოვაცხადოთ გალი მშვიდობის რეგიონად. ასე გახდება გალის რაიონი დამაკავშირებელი ხიდი, შერიგების ხიდი ქართველთა და აფხაზთა შორის. ჩვენი გუნდი არასოდეს დაუშვებს პროვოკაციებს და არ გამოიყენებს გალის მოსახლეობას აფხაზეთის წინააღმდეგ, როგორც ამას სააკაშვილი აკეთებდა.

მსგავსი უღირსი პოლიტიკა სააკაშვილის ხელისუფლებასთან ერთად დასრულდება, დასრულდება ერთხელ და სამუდამოდ. ჩვენ ნდობის აღდგენას გალიდან დავიწყებთ, სახალხო დიპლომატიით დავიწყებთ და აუცილებლად დავიბრუნებთ ჩვენ მიმართ აფხაზი ხალხის ნდობას. უფრო მეტიც, ჩვენ ერთმანეთის ნდობა უნდა დავიმსახუროთ.

ჩვენ მხოლოდ რეალურ ცვლილებებს გთავაზობთ და გპირდებით, რომ არასოდეს გავტეხავთ სიტყვას, არასოდეს გაგიცრუებთ იმედს.

ჩვენ იმედს არ გავუცრუებთ არც ქართველს, არც აფხაზს, არც ოსს, არც ერთი ეროვნების ხალხს, რომელიც საქართველოში ცხოვრობს. ჩვენ უკომპრომისოდ ვიბრძოლებთ მათ წინააღმდეგ, ვინც სიძულვილს, შურსა და ღვარძლს აღვივებდა და აღვივებს ხალხებს შორის.

**ჩემო საყვარელო ხალხო!**

**ჩვენთან ბრძოლისთვის, ჩვენ წინააღმდეგ ხელისუფლება ყველაფერს კადრულობს. ნათლად ვხედავთ სააკაშვილის ბოროტ განზრახვას, რომ ძალაუფლების შესანარჩუნებლად როგორმე ორად გაყოს ხალხი და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდოს ერთმანეთს ადამიანები, თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები.**

ამგვარი დაპირისპირების უმწარესი გაკვეთილი ოციოდე წლის წინ მიიღო ჩვენმა ხალხმა, განსაკუთრებული სისატიკით სწორედ სამეგრელოს მოსახლეობამ იწვნია ეს უბედურება.

იხ. 4 გვ.

# 1 ოქტომბერს ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ არჩევანი სიკეთესა და ბოროტებას შორის და შემოვხაზოთ 41!

(მესამე გვერდიდან)

ჩვენ დავრწმუნდით, რომ არც ერთი ხელისუფლება და არც ერთი პოლიტიკური ლიდერი არ ღირს იმად, რომ მისმა მომხრეებმა და მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთი სასიკვდილოდ გაიმეტონ. ეს მწარე გაკვეთილი ჩვენ უკვე მივიღეთ.

სწორედ სამოქალაქო დაპირისპირების გაჩაღებას ცდილობს ახლა სააკაშვილი. მაგრამ არაფერი გამოუვა. ჯერ კიდევ როდის შეარქვა ხალხმა სააკაშვილის დავალებით მოქმედ რაზმებს „ზონდერბრიგადები" — ფაშისტური გერმანიის სადამსჯელო რაზმების სახელი. ჩვენ ბოლოს მოვუღებთ ამ ბრიგადების პარპაშს კანონის ძალით.

და სანამ კიდევ აქვთ დრო ამ სამარცხვინო ბრიგადების წევრებს, რომლებიც მზად არიან დაარბიონ, გალახონ, შეურაცხყოფა მიაყენონ ან დააშინონ და დაჩაგრონ, როცა ამას სააკაშვილი უბრძანებს, სანამ კიდევ აქვთ დრო, მე მოვუწოდებ მათ, რომ დატოვონ ზონდერბრიგადები და დაუბრუნდნენ ხალხს მისი სულგრძელობის იმედით.

ზუგდიდიდან მოგმართავთ აგრეთვე თქვენ, ჩვენო საამაყო პოლიციელებო! თქვენ არ უნდა შეასრულოთ უკანონო ბრძანებები და სულ უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენ კანონი ქვეყნისა და ხალხის სამსახურს გავალებთ, და არა ერთი-ორი სადისტის ბრძანებების შესრულებას.

ნუ შეგეშინდებათ! ისინი ჩვენ ვერ გვაჯობებენ! იდექით ხალხის სამსახურში! ჩვენი ხალხი სამართლიანია და არ დაგიკარგავთ ერთგულებას, პირიქით, დაგიფასებთ და თქვენი მადლიერი იქნება.

მივმართავ საჯარო მოსამსახურეებს, ყველას, ვისგანაც სააკაშვილის რეჟიმი დანაშაულში თანამონაწილეობას მოითხოვს! დადექით სიმართლის მხარეს, ყური დაუგდეთ თქვენს სინდისს. ამ დანაშაულებრივი რეჟიმის დღეები უკვე დათვლილია, ბოროტებას ამ ქვეყანაში გამარჯვება არ უწერია! დადექით სიკეთის მხარეს და გაემიჯნეთ ძალადობასა და უკანონობას!

მე გპირდებით ყველას, რომ ყველა ერთად გავიმარჯვებთ, მე გაძლევთ ამის პირობას, ოღონდ გაემიჯნეთ სააკაშვილს, ახალაიებს, გაემიჯნეთ უკანონობას! გაემიჯნეთ დანაშაულს!

ახლა მინდა ისევ არჩევნებს შევეხო, რადგან სულ ცოტა დროა დარჩენილი 1 ოქტომბრამდე.

როგორ შეიძლება არჩევნების დღეს განზე გადგომა, იმ მოტივით, რომ არავის არ ემხრობი, იმ მოტივით, რომ არავინაა შენი მოსაწონი. ამას შემგუებლობა და ლაჩრობა ჰქვია, როცა საკუთარ მცირე კეთილდღეობას დაჰკანკალებ, რადგან თავად კარგად ხარ მოწყობილი და სულაც არ გადარდებს არც სხვისი და არც ქვეყნის ბედი.

ყური დამიგდეთ! ერთ-ერთი მთავარი უბედურება, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ ჩვენს ქვეყანას მოუტანა, არის გულგრილობა და განურჩევლობა.

ყველაზე უფრო შემაშფოთებელი სწორედ ისაა, რომ ამ ხელისუფლების ნებით და გავლენით მრავალი ადამიანისთვის სულერთი გახდა კარგი და ცუდი, მათთვის სულერთი გახდა სხვაობა სიკეთესა და ბოროტებას შორის, მათთვის აღარაა ღირებული დაპირისპირება სამართლიანობასა და უსამართლობას შორის.

 აი, ეს არის დამღუპველი ცალკეული ადამიანისა და, საბოლოოდ, მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის. სააკაშვილის ერთ-ერთი მთავარი დანაშაული ხალხისა და ქვეყნის წინაშე არის სწორედ ამ განურჩევლობის, ამ გულგრილობის დამკვიდრება!



როცა ადამიანისთვის სულერთი ხდება, სიმართლის მხარესაა თუ ტყუილის, ადამიანი კარგავს მთავარს, კარგავს ადამიანობას.

სააკაშვილის ხელისუფლება მოსვლის დღიდანვე სიკვდილს თესავს, — გირგვლიანი გაიხსენეთ, რობაქიძე გაიხსენეთ, ვაზაგაშვილი გაიხსენეთ, გამცემლიძე გაიხსენეთ, გაიხსენეთ ქუჩებში დახვრეტილი ბიჭები, გაიხსენეთ სილატაკეში ჩავარდნილი ავადმყოფი მოხუცები და ბავშვები, რომლებსაც უფულობის გამო მკურნალობა არ უწერიათ და სასიკვდილოდ არიან განწირული! გაიხსენეთ აგვისტოს ომში ამ ხელისუფლების უუნარობისა და ლაჩრობის გამო დაღუპული ასობით ჯარისკაცი და პირდაპირ ბედის ანაბარა მტერს შეტოვებული ჩვენი უმწეო მოსახლეობა, გაიხსენეთ 7 ნოემბერი და 26 მაისი, გაიხსენეთ ლოპოტის ხეობაში მზაკვრულად დახოცილი ჩვენი ჯარისკაცები და ჩვენი ქისტი თანამოქალაქეები, გაიხსენეთ დაუჯერებელი წამების, არაადამიანური მოპყრობისა და ადამიანის ღირსების შეურაცხყოფის ამსახველი კადრები, რომლებიც ციხეებშია გადაღებული და მთელმა საქართველომ თავისი თვალით ნახა, გაიხსენეთ და დამეთანხმებით, რომ ეს ხელისუფლება სიკვდილს თესავს და ბოროტებას ემსახურება!

სწორედ ამიტომ, ყველამ ერთად, 1 ოქტომბერს უნდა გავაკეთოთ არჩევანი სიკეთესა და ბოროტებას შორის და უნდა შემოვხაზოთ 41, უნდა გავაკეთოთ არჩევანი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის და უნდა შემოვხაზოთ 41. უნდა ავირჩიოთ, საქართველო ცივილიზებული სახელმწიფო იქნება თუ კრიმინალური ხელისუფლების თარეშის ასპარეზად ქცეული ტერიტორია და შემოვხაზოთ 41. მე მჯერა, პირველ ოქტომბერს მთელი საქართველო აირჩევს სიცოცხლეს, სიკეთეს, მომავალს და შემოხაზავს 41-ს.

მე მჯერა, რომ ადამიანთა უმრავლესობისათვის, ჯერ კიდევ მთავარია არჩევანი ბოროტებასა და სიკეთეს შორის, სიცრუესა და სიმართლეს შორის. ეს არჩევანი კი, ყოველმა ჩვენგანმა, საბოლოოდ, 1 ოქტომბერს უნდა გააკეთოს, როცა არჩევნებზე მივალთ და შემოვხაზავთ 41-ს!

არჩევნების დღე ის დღეა, როდესაც ხელისუფლება ხალხის ხელშია, ეს გადამწყვეტი დღეა და ეს დღე უნდა გამოვიყენოთ. არ გაუშვათ ხელიდან ჩვენი ქვეყნის გადარჩენის შანსი, ჩვენი მოხუცების, ჩვენი შვილების, ჩვენი ავადმყოფებისა და ჩვენი პატიმრების გადარჩენის შანსი, შემოხაზეთ 41 !

თქვენ, ჩემო საყვარელო ხალხო, თქვენ მოგმართავთ, 1 ოქტომბერს სამშობლოს ჯარისკაცებად უნდა იქცეთ, თქვენ სამშობლოს 1 ოქტომბერს საარჩევნო უბანზე სჭირდებით. გამოდით ერთად და შემოხაზეთ 41!

ქვეყნის ბედს თქვენ წყვეტთ, ქვეყნის ბედს 1 ოქტომბერს თქვენ და თქვენი ოჯახის წევრები გადაწყვეტთ, და ამიტომ ჩვენ გავიმარჯვებთ!

მაგრამ იცოდეთ, რომ მაჟორიტარი კანდიდატი, რომელიც „ქართული ოცნების" კანდიდატი არაა, რაგინდ კარგი სახელი ჰქონდეს, ნებით თუ უნებლიეთ ნაციონალების სამსახურში ჩადგება და მათ საქმეს გააკეთებს; უკვე აკეთებს, რადგან „ქართულ ოცნებას" უპირისპირდება. ყველა, ვინც არჩევნებში „ქართულ ოცნებას" უპირისპირდება, ნაციონალურ მოძრაობას, სააკაშვილს და ახალაიებს ემსახურება, ეს არ დაგავიწყდეთ!

ამიტომ მხოლოდ თქვენს მაჟორიტარ კანდიდატს, ანუ „ქართული ოცნების" მაჟორიტარ კანდიდატს მიეცით ხმა და სხვას არავის, და შემოხაზეთ 41.

პირველ ოქტომბერს, ამომრჩეველო, შენი სიმართლე და შენი თავისუფლება შენს ხელში იქნება! სწორედ ამიტომ, მხოლოდ ამიტომ, ჩვენ გავიმარჯვებთ!

ჩვენ ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც ველარავინ წაართმევს ხალხს თავის არჩევანს!

ველარავინ გაბედავს ადამიანების წამებას და ყველა ჯალათი კანონის ძალით დაისჯება!

ჩვენ ღირსებას დავუბრუნებთ ჩვენს ქვეყანას!

ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას!

ჩვენ ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც აღარავის დასჭირდება ლუკმა-პურის საშოვნელად სამშობლოდან გადახვეწა.

საქართველოში დაცული იქნება ადამიანის ყველა უფლება, პირველ რიგში კი დაცული იქნება აზრისა და სიტყვის ფუნდამენტური თავისუფლება; სასამართლო იქნება სამართლიანი, მედია — დამოუკიდებელი, ბიზნესი — ხელშეუხებელი!

ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც ჩვენს საამაყო ჯარისკაცებსა და პოლიციელებს მიეცემათ იმის შესაძლებლობა, რომ ღირსეულად ემსახურონ სახელმწიფოს და არა რომელიმე ხელისუფალს!

თავისუფალ საქართველოში თავისუფალი ხალხი იცხოვრებს, რომელსაც აღარ ექნება პოლიტიკური დევნის შიში! აღარ ექნება დამცირებისა და წამების შიში. მე ამას გპირდებით!

ქართველები, ოსები, აფხაზები, ებრაელები, აზერბაიჯანელები, სომხები, ქისტები, რუსები, ბერძნები და სხვები, ყველანი ერთად ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, რომელიც სამშობლო იქნება ყველასთვის!

საქართველო გახდება თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყანა, ევროპული თანამეგობრობის ღირსეული წევრი!

ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით! მხოლოდ ერთად დგომით მოვიგებთ ამ ბრძოლას!

ჩვენ გვწამს და მტკიცედ გვჯერა, რომ გავიმარჯვებთ არჩევნებში, ქართველი ხალხი გაიმარჯვებს, საქართველო გაიმარჯვებს, ჩვენ ერთად შევქმნით უკეთეს მომავალს და ერთად ავისრულებთ ქართულ ოცნებას!

## ბრიფინგი

# „ქართული ოცნების" მხარდამჭერებს პოლიტიკურად დევნიან!

საქართველოში ათი „ბოევიკი" შემოიყვანეს და უნდათ წარმოაჩინონ, თითქოს „ქართული ოცნების" ჯგუფია, — ამის შესახებ კოალიცია „ქართული ოცნების" პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ გუშინ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, ამის შესახებ ინფორმაცია კოალიციის ერთ-ერთ წევრს სანდო წყარომ უთხრა.

„ამ ეტაპზე შემიძლია გითხრათ მხოლოდ ის, რომ შემოყვანილია „ბოევიკების" ჯგუფი და უნდათ, წარმოაჩინონ ისე, თითქოს ის „ქართული ოცნების" მიერ მობილიზებული დანაშაულებრივი ჯგუფია. ეს არის საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მორიგი სიცრუე. „ქართული ოცნების" ინტერესში არეულობა არანაირად არ არის. ჩვენ მხოლოდ სიმშვიდისკენ მოვუწოდებთ ხალხს. ჩვენი ამოცანაა, რომ მშვიდად მივაღწიოთ არჩევნებამდე, რადგან მასში გამარჯვების იმედი გვაქვს. არეულობა აწყობს მხოლოდ იმას, ვისაც არჩევნებში გამარჯვების იმედი არა აქვს. ჩვენ გვინდა ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ დემოკრატიული არჩევნებით", — აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება" და მისი ლიდერი ბიძინა ივანიშვილი კატეგორიულად ემიჯნებიან პატიმრების წამების ამსახველი ვიდეოჩანაწერების დამზადებისა და გავრცელების პროცესს.

პრესკონფერენციაზე მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ კოალიციას ვიდეოჩანაწერების გავრცელებასთან კავშირი არ აქვს.

„კატეგორიულად ვემიჯნებით ამ ფაქტს და აღვნიშნავთ, რომ „ქართული ოცნება" ვერ აიღებს და არ იღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ ციხის ყოფილი თანამშრომელი როდის გამოაქვეყნებს თავის ვიდეოჩანაწერს. არანაირი კავშირი „ქართულ ოცნებას" და ამ ჩანაწერების დამზადება-გავრცელებას შორის არ არსებობს. მით უმეტეს, რომ ერთ-ერთი ჩანაწერი 2011 წლის მაისის თვით თარიღდება, მაშინ კი არც ბიძინა ივანიშვილი იყო პოლიტიკაში და არც კოალიცია „ქართული ოცნება" არსებობდა", — განაცხადა ფანჯიკიძემ.

მისივე თქმით, ხელისუფლების მხრიდან შეიმჩნევა ტენდენცია იმისა, რომ დაახლოებით ერთ სიბრტყეზე დადგეს აღნიშნული დანაშაულის ჩადენის ფაქტები და მეორე მხრივ, ამ დანაშაულის გამომზეურების მეთოდიკა.

„სრულიად გაუმართლებელია ერთ სიბრტყეზე დავაყენოთ ის, რაც კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია და ის, თუ ვინ და როდის აცნობა საზოგადოებას ამ დანაშაულის შესახებ", — აღნიშნა მან.

ბოლო სამ დღეში სამართალდამცავებმა კოალიცია „ქართული ოცნების" 20-მდე წევრი და მხარდამჭერი დააკავეს. მაია ფანჯიკიძემ ხაზი გაუსვა, რომ ეს ყველაფერი ხდება ახალი მინისტრის [illegible] პერიოდში. მან რამდენიმე კონკრეტული მაგალითიც მოიყვანა. ვანის ნაციონალური პარტიის დეპუტატობის კანდიდატის [illegible] ლეჟავას ოფისში მომხდარი ინციდენტის დროს სცემეს „ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატის მე[illegible] შარაშენიძე და მაია ფან[illegible]თ, ცემას ესწრებოდნენ ვანის მაღალჩინოსნები. დაზარალებული გადაიყვანეს საავადმყოფოში. ცემაში უშუალოდ მონაწილეობდა ვანის საკრებულოს თავმჯდომარე და ვანის გამგებელი, ასევე ვანის საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსი. „ეს დანაშაული მოხდა ნაციონალების მაჟორიტარი კანდიდატის პაატა ლეჟავას კაბინეტში მისი უშუალო თანდასწრებით. შესაბამისად, ცხადია, რომ ის დანაშაულის უშუალო თანამონაწილეა", — განაცხადა ფანჯიკიძემ.

ფანჯიკიძემ მათი მომხრეებისა და წევრების დაკავებას პოლიტიკური მოტივით ხსნის და აცხადებს, რომ ხშირად მათ დევნაში არა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის" უბრალო მხარდამჭერები, არამედ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებიც მონაწილეობენ.



„ხელისუფლება „ქართული ოცნების" მხარდამჭერების მიმართ პოლიტიკურ დევნას ახორციელებს და ამას სათავეში უშუალოდ „ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი კანდიდატები უდგანან", — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მაგალითად მან კრწანისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დავით საყვარელიძე დაასახელა და ივარაუდა, რომ ლესელიძის ქუჩაზე „ქართული ოცნების" წევრის დაკავებაში უშუალოდ საყვარელიძის ხელი ურევია.

ფანჯიკიძემ პრესკონფერენციაზე მათი მომხრეების დაკავების კონკრეტულ ფაქტებზეც ისაუბრა და ჟურნალისტებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

კოალიციის პრესსპიკერმა აღნიშნა ისიც, რომ რამდენიმე შემთხვევაში მათი მხარდამჭერები დააკავეს იმის გამო, რომ ისინი „ქართული ოცნების" საარჩევნო პლაკატების ჩამოხევას შეეწინააღმდეგნენ.

ფანჯიკიძის მტკიცებით, მათი სააგიტაციო მასალების განადგურებაში უშუალოდ პოლიციელები იყვნენ ჩართული.

„პოლიცია არის პოლიტიზებული და წარმოადგენს მხარეს", — დასძინა ფანჯიკიძემ.

კოალიცია „ქართული ოცნება" საარჩევნო უბნებზე ვიდეო და ფოტო გადაღების შესაძლო აკრძალვას აპროტესტებს და მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას ამ შეზღუდვის შემოღება იმიტომ სურს, რომ არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარების ეშინია.

„გასაგებია, თუ რატომ გეგმავს ცესკო შესაბამის დადგენილებაში ამ პუნქტის გადახედვას. ეს გამოწვეულია ერთი რამით. მათ ეშინიათ გამჭვირვალობის, ეს ცვლილება კი კარგი საფუძველია იმისთვის, რომ მოხდეს ხმების გაყალბება", — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

ამასთან, მან არასამთავრობოებსა და მედიას ამ თემის ფართოდ გაშუქებისთვის მადლობა გადაუხადა და დასძინა, რომ სწორედ მათ არ მისცეს საშუალება ამ საკითხზე ცესკოს სხდომა გუშინ გაემართა და შესაბამის დადგენილებაში ცვლილებები შეეტანა.

„ჩვენ იმედი გვაქვს, რომ არასამთავრობოები და მედია არ დაუშვებენ იმას, რომ ხმის მიცემის პროცესი საარჩევნო უბნებზე გამჭვირვალე არ იყოს", — დასძინა ფანჯიკიძემ.

ნატა ნიბლაძე

# ციხე გუშინდელ „ხაზეინებს" ელოდება

**ნაციონალურმა ხელისუფლებამ 2008-ში ხუთ დღეში წააგო ომი, 2012-ში ხუთ დღეში — მომავალი არჩევნები.**

**ხუთ დღეში (18-23 სექტემბერი) ჩამოიშალა რეჟიმი, რომელსაც 9 წელი ჭაპანწყვეტით აკოწიწებდნენ და წყალგადაწურულად გვპირდებოდნენ, რომ ვარდების სამოთხე სამარადჟამოდ მკვიდრდებოდა.**

**განსაკუთრებით შაბათს ზუგდიდში გამართულმა „ქართული ოცნების" აქციამ დაარწმუნა ქვეყანა, რომ ნაცების მონოლითურ კედელს საბედისწერო ბზარი გაუჩნდა.**

სიმბოლურია: ეს მოხდა სწორედ სამეგრელოში, საიდანაც დაიწყო ნაცების ცნობილი ავტომარში თბილისისკენ, სამეგრელოში, რომელსაც რატომღაც თავიანთ აუღებელ ფორპოსტად მიითვლიდნენ მიშა და მისი რაზმი.

არადა, რა რუდუნებით უქონავდა თავს სამეგრელოს — ანაკლიით, ლაზიკით, ახალაიებისა და მის მსგავსთა გაზოროტებით, „ჩემი საყვარელი, ყველაზე ლამაზი და მაგარი ხალხის" ძახილით.

მართლა გამოდგნენ მეგრელები ძალიან მაგრები და 22 სექტემბერს ისეთი მუჯლუგუნი უთავაზეს მათს „ძალიან მოყვარულ" პრეზიდენტს, თქვენი მოწონებული. იმ დღეს იმდენი ხალხი მივიდა ბიძინა ივანიშვილთან შესახვედრად, ლევან II დადიანს, ქუდზე კაციო რომ ებრძანებინა, ალბათ, იმის ნახევარს ვერ შეაგროვებდა. თანაც მოვიდა არა მხოლოდ შესახვედრად და მოსასმენად, არამედ — თანამდგომად.

წინა დღეს პრეზიდენტმა კიდევ ერთი თავზეხელაღებული ცდა გააკეთა: თბილისში იუსტიციის სახლის გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა — ნერვიულად, ისტერიული ყვირილით, მტრების ძიებით. რაც მე-8 საპყრობილეში მოხდა, ხელისუფლებისთვის დიდი დარტყმაა, მაგრამ ეს მტრების ხრიკებიაო, რუსული სუნი დაჰკრავსო, ბედუკაძემ თამაზაშვილის დაკვეთით, ფულის გულისთვის გადაიღო ის საზიზღარი კადრებიო. დამნაშავეებს მკაცრად დავსჯით, ნაციონალური ხელისუფლება თქვენთან არისო...

თუმცა, ეს სიტყვა ღირს იმად, ცოტა ვრცლად რომ გავიხსენოთ.

**პირველი შთაბეჭდილება, რაც მისი სმენისას შემექმნა, ის იყო, რომ პრეზიდენტი ვერ აცნობიერებს შექმნილ რეალობას და ილუზიების სამყაროში იმყოფება, თორემ ასე არ დაიწყებდა: „თბილისის ცენტრში ახალი იუსტიციის სახლი არის იმ ახალი ურთიერთობის სიმბოლო, რომელიც ხალხსა და მთავრობას შორის წარმოიშვა, მთავრობას, რომელიც ემსახურება საზოგადოებას, თავის ხალხს და არა პირიქით!"**

არადა, როდესაც ამას ამბობდა, სანაპიროზე, სწორედ იუსტიციის სახლის შემოგარენში, ხალხის უზარმაზარი ტალღა იყო მომდგარი, სწორედ მთავრობის გინებითა და სტვენით.

სწორედ იმას ჰგავდა: ნერონს აჯანყებულები მოსაკლავად მიადგნენ, იმპერატორი კი მაინც იმედოვნებდა, ახლა რომ გავიდე და ხალხს გამოველაპარაკო, ჩემ ცრემლს და არტისტულ მჭევრმეტყველებას ვინმე წინ დაუდგებაო?

მერე აჩემებული — საქართველო წარსულში აღარასოდეს დაბრუნდება, საქართველოს თავს ვერ მოახვევენ კორუფციას, ჩაგვრას, უსამართლობას, უთანასწორობას სოციალურ, თანამდებობრივს თუ რეგიონალურსო.

სად ჩხრეკს ეს კაცი წარსულში დაბრუნების ასეთ ხატოვან საფრთხოებლებს?!

**პრეზიდენტმა იოლად მიაგნო მე-8 საპყრობილეში გადაღებული ამაზრზენი ვიდეოკადრების ავტორს, ყველაფერში დამნაშავეს. თურმე „სადისტად ქცეული, კორუმპირებული, ორგანიზებულ დანაშაულთან შეკრული, ყოფილი „გაიშნიკი" მუშაობდა იქ, ფირზე იღებდა ამას და ფულს იხდიდა". პირდაპირ არ უთქვამს, ვინ იყო ეს კაციჭამია. ალბათ ბედუკაძეს თუ გულისხმობდა, ის კი პირდაპირ თქვა, ის ფული ბინძური რუსული ფულია, მარტო ფული კი არა, მეთოდებიცო, თურმე კლასიკური რუსული კამპანია წარმოებს საქართველოს წარსულში, რუსეთის იმპერიულ სივრცეში დასაბრუნებლად. ამ საზიზღარ ოკუპანტს მტკიცედ ჰქონია გადაწყვეტილი 2008 წელს ვერდამთავრებული საქმის ბოლომდე მიყვანა (აქ გადაკრულად კრემლის მუქარა ხომ არ იგულისხმება, სააკაშვილს „ერთი ადგილით" ჩამოვკიდებთო?).**

იმავე საღამოს პრეზიდენტის გამოსვლის ნაწყვეტები „მაესტროს" სტუდიაში შეკრებილ სტუდენტებს აჩვენეს. წამყვანმა მათ აზრის გამოთქმა სთხოვა, რამდენად ქმედითიაო პრეზიდენტის ცდა, დააჯეროს მსმენელი, რომ მისი ხელისუფლება შეძლებს მდგომარეობის გამოსწორებას.

**და მოხდა მოულოდნელი: სტუდენტები ახარხარდნენ.**

**ეს იყო პრეზიდენტის დიდი მარცხი. მას დასცინეს, მისი მგზნებარე სიტყვა მასხრად აიგდეს. და ეს იყო ყველაზე შთამბეჭდავი, ყველაზე თვალნათლივი პასუხი, იმაზე გამანადგურებელი, თითოეული მათგანი უსასტიკესი კრიტიკით რომ გამოსულიყო.**

იმავე საღამოს პრეზიდენტმა „აქილევსის ქუსლი" გაუშიშვლა ოპოზიციას. იმ ფირების გადაღება თვეების მანძილზე გრძელდებოდა და სპეციალურად არჩევნებისთვის ინახავდნენო. რატომ არჩევნებისთვის? იმიტომ, რომ მათ უნდათ ამ არჩევნებმა საქართველო დააბრუნოს „მოუსავლეთში, საიდანაც ჩვენ ყველანი ვცდილობთ გაქცევას" (კვირას, ბათუმში გამოსვლისას, უფრო დააკონკრეტა „უკან დაბრუნების საშიშროება" — ეს „კიბო და ინფექციააო"...ძ.

**საცა სამართალია, მიხეილ სააკაშვილი მოწინააღმდეგეს არ უნდა უკიჟინებდეს უღირს**

## ბურბონებს არც არაფერი დავიწყებიათ და არც არაფერი უსწავლიათ!



**სვლას, მაკომპრომეტირებელი მასალის სპეციალურად შემონახვას და „უდროო დროს" დარტყმას. ყველანი მოწმე ვართ ამ ერთი წლის განმავლობაში ბიძინა ივანიშვილის მიმართ ყოველდღიურად განხორციელებული საძაგლობებისა და ეს საძაგლობები ჭეშმარიტად უკადრისი იყო ხელისუფლებისთვის: ჩამოართვეს საქართველოს მოქალაქეობა, მიუქსიეს კონტროლის პალატა ჰარპია მოგელაძის მეთაურობით, ჭეშმარიტად უსინდისო, მილიონიანი ჯარიმები, ხალხის დაშინება ბიძინას რუსეთუმეობით, სულ ბოლოს — არჩევნების ორშაბათს დანიშვნის მზაკვრობაც...**

მე არ ვიცი, ზუსტად როგორ განხორციელდა ოპერაცია „საპყრობილე", მაგრამ ვინც ეს ფირები გადაიღო, რა მიზნითაც არ უნდა გადაეღო, საზოგადოებას დიდი სამსახური გაუწია და ამ საზოგადოებისგან მადლობა ეკუთვნის.

რაც შეეხება არჩევნებისთვის შემონახვას, თუ ეს მართლაც ასეა, სწორედაც კარგად ჩაუფიქრებიათ. რატომ ადრე არ გააცხადესო. ადრე რაც გააცხადეს და წერილობითაც დადეს (მაგალითად ომბუდსმენ ტუღუშის მოხსენებებიძ, შეისმინა ვინმემ? ესეც ათასმეერთედ ფუჭად ნასროლი გამოვიდოდა საარჩევნოდ კი ბომბივით გასკდა, მთელი ნაციონალური მოძრაობა ჩამოშალა და ჩამოაქცია.

რას იზამ, პოლიტიკურ ბრძოლას თავისი დაუნდობელი კანონები აქვს, სხვაგვარად ვერ გაიმარჯვებ. ნაციონალები დანდობის ღირსი არ არიან და არც დაინდეს.

ნათქვამია, ცუდი კარგის გარეშე არ არსებობსო.

სიბილწის გახმაურებამ „გამოაღვიძა" ახალგაზრდობა, სტუდენტობა. იგი მიხვდა, რომ დადგა სწორედ მისი ამოძრავების ჟამი და ამოძრავდა კიდეც.

კარგად ამოძრავდა, ბარაქალა მათ!

თუნდაც მხოლოდ ამისთვის ღირდა ეს აგორება.

მოვლენათა მსვლელობამ დაგვარწმუნა, რომ ბურბონებს არც არაფერი უსწავლიათ და არც არაფერი დავიწყებიათ!

ძველი, აპრობირებული აქცენტები გამოკვეთა პრეზიდენტმა 23 სექტემბერს ბათუმში, ტექნოლოგიების უნივერსიტეტის გახსნისას.

მან კიდევ ერთხელ დააფეთა შეკრებილნი, პირველი ოქტომბრის არჩევნებისთვის საერთაშორისო ქართული მაფია ემზადებაო.

მან ხალხს ხელთათმანივით ესროლა საბედისწერო კითხვა: ვის უფრო ენდობით, ვინ უფრო დაიცავს თქვენს უფლებებს, ვინ გაგიყვანთ სამშვიდობოს — ხატია დეკანოიძე, გიორგი ტუღუში და ეკა ზღულაძე თუ გოგა ხაინდრავა და თამაზ თამაზაშვილიო?

უკვე თვალნათლივია, რომ თავს დამტყდარი უბედურებით დაზნეული, დარეტიანებული პრეზიდენტი ხავსს ეჭიდება: ახალ განათლების მინისტრს, სასჯელაღსრულების მინისტრს და შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს. უკვე მეორედ აიფარა ეს გვარები მაშველად.

ძალაუნებურად გამახსენდა: 1945 წლის აპრილის ბოლოს, ბერლინში, საკონცენტრაციო ბუნკერში გამოკეტილი ჰიტლერი სარეზერვო არმიის სარდლის ვენკის იმედით სულდგმულობდა. „ვენკი მოდის!" — წამოიძახებდა ხოლმე დროდადრო, როცა ვითარების კატასტროფულობას მოახსენებდნენ. არადა, ვენკი უკვე გაბაწრული ჰყავდათ მოკავშირეებს. ასევე ამაოდ სდებდა იმედს გენერალ გრუშს ნაპოლეონი ვატერლოოს ველზე.

**ეს გიორგი ტუღუში რა ისეთი წითელი კოჭია ვითომ, ქვეყანამ მისი იმედით დაიძინოს და გაიღვიძოს?**

**ან ქალბატონი ხატია დეკანოიძეა მარგარეტ ტეტჩერი ან ეკა ზღულაძე — აგატა კრისტი? ასე ავანსად რატომ უნდა ჩამოვურიგოთ ამ ახალგამოჩეკილ, ჯერჯერობით არაფრით გამორჩეულ მოხელეებს ნდობის ვოტუმი? (ისე, აგატა კრისტიმ უკვე გამოაჩინა კლანჭები — პოლიციამ ახალგაზრდული მოძრაობის აქტივისტი დაჩი ცაგურია და, მისი მეგობრები დააკავა და, როგორც ამბობენ, სცემა კიდეცო).**

**ისე რომ, სამი ვენკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს.**

საქმე ისეა ჩაოხრებული, მთელი მთავრობის, განსაკუთრებით იუსტიციის სამინისტროს და მთავარი პროკურატურის გამოგვა და საგულდაგულო დეზინფორმირებაც ვერ უშველის.

პრეზიდენტმა თავის გადასარჩენად ჩიტიჩიორასავით იოლად გაიმეტა ორ ბარტყი, როცა მელია მიადგა. მაგრამ ასე იოლად ვერ დაუძვრება, კიდევ მოუწევს ბარტყების ბუდიდან ამოყრა, განსაკუთრებით რუხი კარდინალის ზურაბ ადეიშვილისა, რომელსაც ხალხი სიყვარულით სათვალიან ვირთხას უწოდებს, მუდამ მდუმარედ, ფლეგმატურად რომ აყურადებს მოვლენებს და, როგორც ამბობენ, ასევე აუღელვებლად იძლევა უკეთურ რჩევებს.

საერთოდ, რომელია ამ მთავრობაში ნდობის ღირსი? ისინი ხომ „40 წლისა ბალში ხეც არ მინდას" (უდღეურ მინისტრ რეხვიაშვილის გენიალური აღმოჩენაძ რევოლუციურ ტალღაზე მოსულნი ან მათი შემცვლელნი არიან, „საკუთარი გუნდებით" რომ მოაჯდებოდნენ თავიანთ „საუფლისწულოდ" ნაბოძებ უწყებებს და განუკითხავად, „პაჩკობით" ყრიდნენ იქიდან წლობით ნამსახურებ, ამაგდარ ადამიანებს, რათა მათ ადგილზე თავიანთი ნათესავი, მეგობარი, თანაკლასელი, უბნელი, უსაქმური, გულგრილი, უცოდინარი (მხოლოდ ინგლისურის და კომპიუტერის, ოღონდ არა ადამიანურობის მცოდნეძ გოგობიჭები მოეყარათ.

ახლა, იცოცხლეთ, კი იძახის პრეზიდენტი, უმუშევრობა უნდა დავძლიოთო (რომლის აღმოცენებაში თვითონვე მიუძღვის წილიძ, როცა მსოფლიო გაივსო ლუკმაპურის საძიებლად საქართველოდან კისრისტეხით გაქცეული ჯანღონით სავსე ადამიანებით.

რამდენ რამეს იძახის და გვპირდება, მაგრამ უკვე აღარავის რომ არ სჯერა?

ამ დღეებში გულისყურით ვადევნებ თვალს ტელეგადაცემებს. აშკარად ეტყობა, რომ ნაცმოძრაობის ძორები იშკილებადან არიან ჩამოვარდნილნი. სადღაა მათი შემტევი, უნტერპრიშიბეევული შემართება და ხეპრეობა.

მთელი ეს წიკლაურები, მინაშვილები, გაბაშვილები, კუბლაშვილები და სხვები და სხვები უკვე კანით გრძნობენ, რომ მოსხლეტით მიექანებიან თავდაღმართში და მიყუჩდნენ (არადა, რა დაჯერებულნი იყვნენ სიმართლეში და დაუსჯელობაში!ძ.

თითქოს სწორიც არიან. შეიძლება სისხლის სამართლის ბრალი წაუყენო ბაჩო და დათა ახალაიებს, დავით კეზერაშვილს და სხვებს, თვით პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, იმიტომ რომ სწორედ სისხლის სამართლის დანაშაულები აქვთ ჩადენილი, მაგრამ რა ბრალი შეიძლება წაუყენო მაგალითად ნუგზარ წიკლაურს, გოკა გაბაშვილს, აკაკი მინაშვილს, პალიკო კუბლაშვილს, ნაცმოძრაობის იდეოლოგებს? ისინი ხომ მხოლოდ ლაპარაკობდნენ!

არ არის ასე იოლად საქმე:

ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა ფაშისტური გერმანიის სხვა მთავარ სამხედრო დამნაშავეებთან ერთად ჩამოახრჩო იულიუს შტრაიხერი, ამ კაცს პირადად არავინ მოუკლავს, „მხოლოდ" ერთი ანტისემიტური გაზეთის რედაქტორი იყო და ებრაელთა ჟლეტას აქეზებდა.

იულიუს წიკალურის საქმე ასეა: ის რომ სახეზე თუნუქის ნიღაბს მოირგებდა, ნაციონალთა გასპეტაკებას და ოპოზიციის გაშტრაიხერებას შეუდგებოდა, კაცს თუ ტირილის უნარი გქონდა, ტირილი აგიტყდებოდა. მათ ჩამოხრჩობას და თავის მოკვეთას არავინ მოითხოვს, მაგრამ მასაც უნდა მოუწიოს ბევრ რამეზე პასუხისგება. მასაც და სხვა ენამოტყლაშუნეებს...

დაბოლოს ერთიც, დიდი კამათია იმაზე, რომ ფირზე აღბეჭდილი პატიმართა გაუპატიურება სპეციალურად არჩევნებისთვის არის „დადგმული".

არ არის ეს მართალი. პატიმართა დამცირება-წამების ასეთ უკეთურ მეთოდზე, როგორც მაშინდელი რეჟიმის ბრალზე, წერდა დისიდენტი ზვიად გამსახურდია თავის არალეგალურ ჟურნალში 1970-იან წლებში. ციხის ადმინისტრაციის მიერ საამისოდ სპეციალურად შერჩეულ კაცსაც ასახელებდა — ვინმე ცირეკიძეს. ალბათ ბევრს ახსოვს ის შემზარავი პუბლიკაცია.

ქართულ ლიტერატურაშიც კია ეს მოვლენა ასახული. ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას" შეგახსენებთ.

1910-იანი წლები. ორთაჭალის ციხე, პატიმართა ამბოხი.

საბაბი: ციხე შეიტყობს, რომ ადმინისტრაციას ახალგაზრდა პოლიტიკურ პატიმართა კომპრომეტაცია გადაუწყვეტია მამათმავლების დარდაკას, ხარჩოს, დილღიას, ალისკერას საშუალებით და იფეთქებს („ყველანი ციხეებსა და გადასახლებებში ნათრევი ვიყავით. რა არ გადაგვხდენია, მაგრამ ასე უხერხულად ჩემს სიცოცხლეში არ მიგრძვნია თავი. მეგონა, ვითომ ეს არის ახლა სიბინძურეში ამომავლეს და დაბანის უფლება აღმიკვეთეს — ზედ უნდა შემაშრესო. „შენ გესმის რომ ეს სამუდამო კომპრომენტაციაა. სადღა უნდა გამოყოს ცხვირი. პოლიტიკაა, ხელად წამოგაძახებენ: აქა და აქ, ამა და ამ წელს დარდაკას საყვარელი იყავიო"ძ.

**ისე რომ, არავითარი — „სპეციალურად!" როგორც ჩანს, პატიმართა ასეთი საშინელი და ბინძური გზით დამდაბლება საქართველოს ციხეების ყოველდღიურობა აპრობირებული პრაქტიკა იყო. და ეს ხდებოდა არა XX საუკუნის 10-იან თუ 70-იან ბნელ წლებში, არამედ XXI საუკუნეში, ჩვენს ბედნიერ, დემოკრატიულ საქართველოში, რომელსაც ნაციონალთა ცხრათვალა მზე დაჰნათის და ათბობს.**

**დგება ჭეშმარიტების ჟამი: 1 ოქტომბერი ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს და თავის ადგილს მიუჩენს.**

**ალეკო ასლანიშვილი**

SIC!

# დავიბენი, ჩემო პატრიარქო!

წინასწარ ვიცი, რომ ამ ბლოგისთვის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდიც გამაკრიტიკებს და ის ხალხიც, ვინც პატრიარქისადმი ცნობილ „შეკითხვებს“ მოაწერა ხელი. მაგრამ მავანმა სულაც ანათემას რომ გადამცეს, სათქმელს მაინც ვიტყვი, რადგან მჯერა, რომ იგი მხოლოდ ჩემს გულისნადებს არ გამოხატავს.



თქვენო უწმინდესობავ, საქართველოს პატრიარქო! მეც ისევე, როგორც ბევრი ჩემი თანამემამულე, რომლებიც სამშობლოს გარეთ ვიმყოფებით, ამ დღეებში განსაკუთრებით მოუთმენლად ველოდით თქვენს მიმართვას. ვის, თუ არა თქვენ, შეგიძლიათ დაარწმუნოთ აფორიაქებული ხალხი, თანაუგრძნოთ, დააწყნაროთ და თუნდაც მცირე ხნით შეარიგოთ ის. მართალია, ჯიუტი ქართული ხასიათის გამო, ეს ყოველთვის არ გამოდის. 1989 წლის 9 აპრილის ღამეს მეც იმ სტუდენტებს შორის ვიყავი, ვინც, თქვენი დალოცვის მიუხედავად, არ წავიდა ქაშუეთში, რუსთაველის მოედანზე დარჩა და დღემდე ნანობს ამ სიჯიუტეს.

ამიტომ, ახლა სამშობლოში რომ ვიყო, აუცილებლად დავუჯერებდი თქვენს მოწოდებას და ორი მშფოთვარე დღის შემდეგ, რაც პატიმართა წამებისა და გაუპატიურების საზარელი კადრების გავრცელებას მოჰყვა, წავიდოდი სახლში, დაველოდებოდი არჩევნებს და შევეცდებოდი, სხვებიც დამეყოლიებინა.

მაგრამ ვხვდები და თვალს ვერ დავიბრმავებ, რომ პარასკევს, სამების ამბიონიდან წარმოთქმულმა თქვენმა ქადაგებამ, სამწუხაროდ, კი არ დააშოშმინა აღელვებული ადამიანები, არამედ მათში გარკვეული უიმედობა გააჩინა. ბევრი მათგანი, ვისაც უცხოეთსა თუ საქართველოში (ინტერნეტისა და ტელეფონის საშუალებით) ველაპარაკე, გაოგნებულია და ვერაფრით აუხსნია, რის თქმა გსურდათ ამ ფრაზით: „მსგავსი რამ სხვა ქვეყნებშიც ხდება, მაგრამ ხელისუფლებას და ხალხს ეს სამარცხვინო მოქმედება საქვეყნოდ არ გამოაქვთ და ყველაფერს აკეთებენ, რომ ეს არ განმეორდეს.“

ეკლესიის საქმეებში ჩახედულთა უმრავლესობას კი, ღმერთო შეგცოდე, ეჭვი არ ეპარება, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავარს ქადაგების წინასწარ მომზადებულ ტექსტში რამდენიმე ციტატა ხელისუფლების წევრებმა ჩაუწერეს, რათა ამით ნიადაგი შეამზადონ შემდგომი რეპრესიებისათვის. მავანი ვარაუდობს, რომ პატრიარქის ციტატას – „ზოგიერთები სარგებლობენ შექმნილი მდგომარეობით და საქართველოში არასტაბილური მდგომარეობის შემოტანა სურთ“, – ქვეყნის მესვეურთა პიარტექნოლოგები თან დაურთავენ იმ „მამხილებელ კადრებსაც“, რომელთა გამომზეურებასაც ხელისუფლება მალე აპირებს.

მომიტევეთ, პატრიარქო, მაგრამ ამ ხალხის ასეთი შეშფოთება უსაფუძვლო რომ არ არის, უკვე აჩვენა 21 სექტემბრის მოვლენებმა. სწორედ თქვენი ქადაგების შემდეგ დაუბრუნდა ციხის სკანდალის გამო ნირშეცვლილ პრეზიდენტს ძველებური რიხი და მიხეილ სააკაშვილმა კვლავ დაიწყო საუბარი თავისი ხელისუფლების მიღწევებზე და ამ მიღწევების მოწინააღმდეგეებზე. მართალია, მღრღნელები, მუმიები, დინოზავრები და მტრის ფეხის მლოკველები ამჯერად არ უხსენებია, მაგრამ თბილისში, იუსტიციის სახლის გახსნისას, მან რამდენიმეჯერ გაიმეორა, „საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებს რუსული ფული, საერთაშორისო ქართული მაფია და გავრცელებული ვიდეოკადრები მათ მიერ დაგეგმილი დესტაბილიზაციის გეგმის მხოლოდ მცირე ნაწილიაო“. არადა, ეს იმ დროს, როდესაც მღელვარება თითქოს ჩაცხრა. ამიტომ, რაღა გასაკვირია, თუ ამის პარალელურად კვლავ გამოვიდნენ ქუჩებში სტუდენტები, მოხდა მცირე შეხლა-შემოხლა ახალგაზრდებსა და პოლიციას შორის, ხოლო ამ მოვლენის ამსახველი სატელევიზიო სიუჟეტები სახელისუფლო ტელევიზიების ეთერში კვლავ იწყებოდა საბჭოთა პერიოდისთვის დამახასიათებელ სტილში ჩამოყალიბებული ფრაზით: „მიუხედავად პატრიარქის მოწოდებისა, სტუდენტების ერთი ნაწილი კვლავ გამოვიდა ქუჩებში...“

სანამ ამ ბლოგს რედაქტორს გავუგზავნიდი, კიდევ ერთხელ მოვუსმინე თქვენს ქადაგებას და მორიდებით შეგკადრებთ: თქვენო უწმინდესობავ, იგი ნამდვილად ტოვებს ამბივალენტურის შთაბეჭდილებას. ამიტომ, დავიბენი, ჩემო პატრიარქო და, შორს მყოფს, უმწეობის გრძნობა დამეუფლა.

**კობა ლიკლიკაძე,**
რადიო „თავისუფლება“



ინფორმაცია

## „როდესაც იცი, რომ 20 წლის ბიჭს წამებით კლავენ ციხეში, არ მესმის, როგორ ითხოვ კიდევ, რომ ხმა მოგცეთ“

ამ სიტყვებით მწერალმა დათო ტურაშვილმა დეპუტატებს „რუსთავი 2“-ის ეთერიდან მიმართა.

მისი თქმით, გამაღიზიანებელია ის ფაქტიც, რომ ხელისუფლება სინანულის ნაცვლად დანაშაულის სხვისთვის გადაბრალებას ითხოვს.

— სამწუხაროდ, იმის მაგივრად, რომ ხელისუფლების წევრებმა მაქსიმალურად გვაგრძნობინონ სინანული, ცდილობენ თავის მართლებას. მონანიე ადამიანი იმდენად იწვევს ჩემში თანაგრძნობას, რომ როგორი დამნაშავეც არ უნდა იყოს, არ შემიძლია მის მიმართ ვიყო აგრესიული და რადიკალურად კრიტიკული. ამას თუ ვიგრძნობ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, ეს აგრესია განელდება. იმის მაგივრად, რომ ჩვენ სინანული ვიგრძნოთ, სხვაგან ეძებენ დამნაშავეს და ეს არის ყველაზე შეურაცხმყოფელი ჩემთვის, — განაცხადა დათო ტურაშვილმა.

მისი თქმით, მას არაერთხელ მოუწოდებია ხელისუფლებაში ნაცნობებისთვის, რომ პატიმრებისთვის მიეხედათ.



— ვგიჟდები, მარტო ბაჩო ახალაიას დასჯას რომ ითხოვენ, ეს არ არის საკმარისი. საქმის აღძვრას იმსახურებს ნებისმიერი ადამიანი, ვისაც ევალებოდა ამის გამო რეაქცია ჰქონოდა. პარლამენტში არის 150 დეპუტატი. ჩვენ ვიცით მაქსიმუმ 20, რომლებიც თავის მოვალეობას აღასრულებს, ანუ იღებს საკანონმდებლო მოქმედებაში მონაწილეობას. დეპუტატების ძირითადი ნაწილი ჩვენი ფულით არსებობს და არაფერს არ აკეთებს. მათ ჰქონდათ საშუალება რამდენჯერმე, რომ ომბუდსმენისგან ოფიციალური მონაცემები მოესმინათ პატიმრების წამების და წამებით დახოცილი ადამიანების შესახებ. ჩემი ფულით რომ ცხოვრობ ამდენი წელი და რეაქციაც არ გაქვს, სახლში როცა წახვალ, გადაბრუნდები და დაიძინებ, როცა იცი, რომ 20 წლის ბიჭს წამებით კლავენ ციხეში, არ მესმის როგორ ითხოვ კიდევ, რომ ხმა მოგცეთ ჩვენ?! ეს ჩემთვის სრულიად გამაოგნებელია, — განაცხადა დათო ტურაშვილმა.

## სოლიდარობის აქცია ათენში

ქართველი ემიგრანტების ნაწილი აქციაზე ცოცხებით მივიდა. მათ მომხდარში უშუალოდ საქართველოს ხელისუფლება დაადანაშაულეს და სკანდირებდნენ: „მიშა წადი“.

აქციის შემდეგ რამდენიმე ქართველმა ათენში, „საქართველოს ფოსტის“ ოფისის მეშვეობით, თბილისში, პრეზიდენტის სახელზე ცოცხის გამოგზავნა სცადეს, თუმცა ფოსტაში მათ ამაზე უარი უთხრეს.

აღსანიშნავია, რომ აქციის გარდა, საბერძნეთში მცხოვრებმა ქართველებმა ერთობლივი განცხადებაც შეიმუშავეს, რომელშიც ისინი პატიმრების წამებისა და შეურაცხყოფის ფაქტებს გმობენ და ხელისუფლებას რამდენიმე მოთხოვნით მიმართავენ.

— ვიზიარებთ ღრმა შეშფოთებას 18 სექტემბერს გამოქვეყნებული ვიდეომასალების გამო, რომელიც საქართველოს ციხეებში პატიმრებისადმი არადამიანურ მოპყრობას შეეხება. მივიჩნევთ, რომ აღნიშნული არის დანაშაული ადამიანობის წინააღმდეგ, რის გამოც მოვითხოვთ: 1. ყველა ის პირი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობდა აღნიშნულ დანაშაულში, საქართველოს პრეზიდენტის ჩათვლით, დაუყოვნებლივ წარდგნენ საქართველოს საპატრიარქოს ეგიდით შექმნილი საგამოძიებო კომისიის ღია სხდომის წინაშე და მისი ტრანსლირება მოხდეს პირდაპირი ეთერით. 2. იმისათვის, რომ საგამოძიებო ორგანოებისადმი ტოტალური უნდობლობის ფონზე საზოგადოებაში განხეთქილება თავიდან ავიცილოთ, მოვითხოვთ, რომ ყველა საგამოძიებო პროცედურის ტრანსლირება მოხდეს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით. 3. გამოვდივართ წინადადებით საპატრიარქოს ეგიდით შექმნილ კომისიაში შევიდნენ ემიგრაციის წარმომადგენლები, რომლებიც არჩეულნი იქნებიან 2012 წლის 30 სექტემბერს. 4. საგამოძიებო კომისიაში მოწვეულ იქნას „ევროპის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის“ დამკვირვებელი, — აღნიშნულია ქართველი ემიგრანტების განცხადებაში.

მათივე განმარტებით, თუ ხელისუფლება მათ მოთხოვნების 25 სექტემბრამდე არ დააკმაყოფილებს, საბერძნეთის რესპუბლიკაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები პროტესტის უკიდურეს ზომას — შიმშილობას მიმართავენ და პირველ ოქტომბერს ჩატარებულ არჩევნებს არ აღიარებენ. ამასთან, ემიგრანტების თქმით, პროტესტის ნიშნად ისინი უცხოეთის სახელმწიფოებს პოლიტიკური დევნილის სტატუსის მინიჭების თხოვნითაც მიმართავენ.

## ხელისუფლებამ ქართველ ერს მსოფლიოში თავი მოსჭრა

საქართველოს ხელისუფლებამ ქართველ ერს მსოფლიოში თავი მოსჭრა, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მომღერალმა სოსო პავლიაშვილმა განუცხადა.

მომღერალმა მოსკოვიდან სატელეფონო საუბრისას აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ პატიმართა წამების ფაქტებით თავისი სახე წარმოაჩინა და ამით მსოფლიოს ნეობოლშევიზმის სახე უჩვენა.



— ამ გარეწრებმა და გარეწრებზე უარესებმა მსოფლიოს უჩვენეს თავიანთი რეალური სახე ნეობოლშევიზმისა. როგორ უნდა იცხოვრონ იმ ნაწამებმა პატიმრებმა ხვალ? რომლებსაც თავზე უქნეს, დააჩმორეს და გადაუარეს? მე პოლიტიკა არ მაინტერესებს, პოლიტიკა ჩემთვის ბინძური ბიზნესია, მაგრამ ვერც იმას მოვითმენ, ხმა არ ამოვიღო საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე. წლებია ამ გარეწრებმა ჩემზე ისეთი პიარი ააგორეს, რომ მანდ ჩამოსვლა არ მინდა. მაგრამ მე სადაც არ უნდა ვიყო, 9 ხელისუფლებაც რომ შეიცვალოს, ყველგან საქართველოს შვილად ვრჩები. მიყვარდა, მიყვარს და მეყვარება ჩემი სამშობლო და ხალხი. ამ დეგენერატებს ცოცხი უნდათ. წლების წინ ვამბობდი ხოლმე, ესენი თავისი სიკვდილით ვერ მოკვდებიან, — აღნიშნა სოსო პავლიაშვილმა.

მომღერლის თქმით, დღეს საქართველოში ისევ აქტიური გახდა სიმღერა „სამშობლო“.

— ეს სიმღერა მარტო სამშობლოს თავისუფლებაზე არ არის. უფრო ღრმა შინაარსისაა. ვინც დღეს ამ სიმღერას ისევ მღერის საქართველოში, მეც მათ გვერდზე ვარ, —აღნიშნა მომღერალმა.

სოსო პალიაშვილმა ხელისუფლებას „დიდი მადლობა“ გადაუხადა, რომ მას სამშობლოში დაბრუნების საშუალებას არ აძლევს, რადგან ის დამცირებას ვერ აიტანდა და „ხმის ამოღება შესაძლოა, მძიმედ დასრულებულიყო“.

ინტერპრესი

## რეჟიმი — ერის მტერი



# ვერ წარმომედგინა, რომ 21-ე საუკუნეში დემოკრატიული ნიღბით ავტორიტარი მოვიდოდა

მწერალი ირაკლი ლომოური აცხადებს, რომ ისტორიულად ქართველებისთვის ღირსების განცდა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო. საბედნიეროდ, ეს განცდა კიდევ შემოგვრჩა, რასაც ციხეში გადაღებული კადრების ნახვის შემდეგ აღშფოთებული საზოგადოების რეაქცია ადასტურებს. **For.ge** **ირაკლი ლომოურს** ესაუბრა.



**— როგორც მწერალი, გლდანის ციხეში გადაღებულ ამაზრზენ კადრებს როგორ შეაფასებთ? ბევრს გაუჩნდა განწყობა, რომ ერის ზნეობა შეიცვალა.**

— გარდა იმ შეძრწუნებისა, რაც ყველა ადამიანს ამ კადრების ნახვის შემდეგ დაეუფლა, მე, უბრალოდ, შემრცხვა. ვიცოდი, რომ ასეთი რაღაცები ხდებოდა, მაგრამ აუცილებლად უნდა გვენახა, რომ ბოლომდე გაგვეაზრებინა ეს საშინელება?! ჩვენ ხომ ეს გვესმოდა დიდი ხნის განმავლობაში, ხომ ვიცოდით, რომ ასეთი რაღაცები ხდებოდა და ეს რეალობა იყო.

**— მაგრამ თვალით აღქმას, ვიზუალურ კადრებს დიდი მნიშვნელობა აქვს.**

— ეტყობა, ადამიანის ფსიქოლოგიაა ასეთი, რომ თავისი თვალით უნდა ნახოს, რათა ამან იმოქმედოს, რაღაცნაირად გამოაღვიძოს და მოქმედებისკენ უბიძგოს. სინამდვილეში, გულის სიღრმეში ვიცოდი და არც არასდროს მიფიქრია, რომ ეს ჭორია, ან გამოგონილი, გაზვიადებულია. თუმცა, ხალხის ეს აღშფოთება იმდენად ბუნებრივი და ადამიანურია, რომ რაღაც იმედის პატარა ნაპერწკალს აჩენს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს მომავალი, როგორც საზოგადოებას და როგორც ერს. ხალხმა ვეღარ მოითმინა და გარეთ გამოვიდა, რადგან არის რაღაცები, რისი მოთმენაც არ შეიძლება. ადამიანს აქვს თანდაყოლილი ბუნებრივი სჯული, ზნეობრივი კანონი, ზნეობრივი საწყისი არის ჩვენს გულში და, თუ ჩვენ მივივიწყეთ ეს ჩვენი შინაგანი ზნეობრივი კანონი, თუ საკუთარ სინდისს არ მოვუსმინეთ, არც ჩვენს ერს და არც ჩვენს ქვეყანას მომავალი არ ექნება.

**—როგორ გგონიათ, ეს ზნეობრივი კანონი ამ ჯალათებშიცაა შემორჩენილი?**

— ყველა ადამიანშია, მაგრამ შეიძლება, უზნეო ცხოვრებით ეს შენი სინდისი მიაძინო, შეიძლება, საერთოდ ჩაიფერფლოს და ჩაიწვას, მაგრამ არასოდეს ბოლომდე არ ქრება. სინდისის საწყისი, ზნეობრივი საწყისი ყველა ადამიანში მაინც არის და შეიძლება, სიცოცხლის ბოლო წამს გაიღვიძოს და უცებ შეძრწუნდეს თვითონ ის ჯალათი, ამას რას ვაკეთებდიო და ბოლო წამს ღმერთს მონანიება სთხოვოს.

**— მაგრამ მისი სინანული ნაწამები ადამიანებისთვის არანაირი შეღავათის მიმცემი არ არის.**

— იმ ნაწამებ ხალხს არაფერს უშველის, მაგრამ, თუ ეს გულწრფელი მონანიება იქნება, თუნდაც საკუთარ გულში ნათქვამი, ღმერთი ამას გაიგონებს და გაითვალისწინებს. მთავარი ხომ სინანულია, მაგრამ დროულად უნდა იყოს სინანული, არ შეიძლება, გადადო, და მთელი ცხოვრება ისე იცხოვრო, ვითომც შენ საერთოდ არ იცი, თუ არსებობს ამ ქვეყნად ზნეობა, ადამიანობა და კაცობა. ეს ჩვენი მმართველები, ერთი მხრივ, დემაგოგები არიან, მეორე მხრივ, - სადისტები, რადგან სიყალბეს გვეუბნებიან, გვაპროგრამებენ, უნდათ, გადაგვაქციონ თავიანთ მონა-მორჩილებად, ყმა-გლეხებად, უნდათ, რომ შემსრულებლები ვიყოთ და ვერ იტანენ ადამიანს, რომელსაც აქვს საკუთარი აზრი, შეუძლია, კრიტიკული მოსაზრება გამოთქვას. ამას ვერ იტანენ, რადგან, თუ მათ არ ეთანხმები, მათი მტერი ხარ და ავტომატურად გამოდის, რომ ხარ კრემლის აგენტი და უბედურება.

**— დღეს ყველა დარწმუნდა, რომ ამ ხელისუფლების მთავარი საყრდენი ადამიანში ღირსების ჩაკვლაა. ამაზე დგას ეს სისტემა?**

— ღირსებას უკლავენ ადამიანს, მთელი უბედურება ეს არის. ადამიანში პიროვნება უნდა ჩაკლან და გადააქციონ რობოტად. ყველა ტოტალიტარული სისტემის მიზანი არის ის, რომ ადამიანში ჩაკლას პიროვნება, ღირსება დაუკარგონ კაცს, მაშინ მისი მართვა მარტივად შეიძლება.

**— ალბათ, ღირსება ყველა ეროვნების წარმომადგენლისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია, მაგრამ ქართველისთვის უფრო მომეტებულია ეს განცდა და უფრო სხვა რაღაცას ნიშნავს. შემთხვევითი არ არის, რომ ვაჟა-ფშაველასთანაც მომეტებულადაა გადმოცემული ეს გრძნობა.**

— ღირსების გაგება სხვადასხვა კულტურაში, სხვადასხვა ეთნოფსიქოლოგიურ გარემოში სხვადასხვანაირადაა, ეს არ არის ერთნაირი. ჩვენთვის ღირსების განცდა მართლაც განსაკუთრებულად იყო მნიშვნელოვანი და, მადლობა ღმერთს, ეს შემოგვრჩა, ეს არ არის შემთხვევითი. ევროპული, ფეოდალური სისტემა პიროვნული ღირსების კულტივირებას უწყობდა ხელს. ჩვენ არ ვიყავით არასდროს მონები, ჩვენ ყოველთვის საკუთარი თავის ღირსება გვქონდა და ყოველი თავადი, ყოველი აზნაური თვითონ იყო ხელმწიფე. მისი მმართველობა არ იყო მონათმფლობელური.

**— ასევე იყვნენ ქართველი გლეხებიც. ყველას გვახსოვს გამოთქმა — მეფეო, შენ ორი თქვი, და ერთი მეც მომისმინეო.**

— დიახ, ჩვენთან, ისტორიულად, პიროვნული ღირსება გლეხსაც, უბრალო ადამიანსაც შენარჩუნებული ჰქონდა და მმართველსაც. ღირსება იყო გადამწყვეტი ამ ურთიერთობაში. უღირსობა იყო ყველაზე დიდი სირცხვილი და ყველაზე დიდი კრახი ადამიანისთვის, თუ ის ღირსებას დაკარგავდა საზოგადოებისა და თემის თვალში. ახლა კი, უკვე რამდენი ხანია, ჩვენ ვართ უღირსებო საზოგადოება, რადგან ჩვენ შევეგუეთ, გავხდით კომფორმისტები, შევეგუეთ უსამართლობას, სიყალბეს, ბოროტებას, დაშინებულები ვართ. ელემენტარულად, რაც გამოვიარეთ ამ კომუნისტების ხელში, მერე კიდევ, რაც ეს უბედურებები მოხდა, მე ვერ წარმომედგინა, რომ 21-ე საუკუნეში დემოკრატიული ნიღბით მოვიდოდა ავტორიტარი, რომელიც ტოტალიტარული სისტემის შექმნას შეეცდებოდა, რომლისთვისაც ადამიანი, მოქალაქე არის მხოლოდ ის, ვინც მის აზრს იმეორებს და, თუ ვინმეს საკუთარი აზრი აქვს, ე.ი. ის არის მტერი და უნდა მოსპო, გაანადგურო. ამასთან შეგუება არ შეიძლება. კარგია, რომ ამ კადრებმა ასეთი პროტესტი გამოიწვია, მაგრამ ახლა მთავარია, როგორმე მივაღწიოთ არჩევნებამდე. ამათ ძალიან უნდათ, ეს გამოიყენონ საბაბად, რომ დესტაბილიზაციისა და ქაოსის მომიზეზებით გამოაცხადონ კომენდანტის საათი და გადადონ არჩევნები, გაიხანგრძლივონ თავიანთი აგონია, მაგრამ, იმედია, გონიერება გვეყოფა, მივალთ არჩევნებამდე და სწორ არჩევანს გავაკეთებთ.

**— პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, მეუფე იაკობმა ქადაგებისას ასეთი რამ თქვა, რომ ეს ჯალათები საკუთარმა შვილებმა და მეუღლეებმა ოჯახში არ უნდა შეუშვან, რადგან მათ ქართველ ერს პატივი აჰყარეს. რა უნდა იყოს ამ ადამიანების საზღაური და არის კი ისეთი სასჯელი, რომელიც ამ დანაშაულს გადაწონიდა?**

— ძალიან რთული კითხვაა. ვერ გამოვდგები, ალბათ, მსაჯულად და განმსჯელად. კანონის წინაშე პასუხი უნდა აგოს ყველამ, ვინც დანაშაული ჩაიდინა. მიუკერძოებელმა, სამართლიანმა სასამართლომ უნდა გაასამართლოს დამნაშავე და გაითვალისწინოს ყველა გარემოება. რაც შეეხება ზნეობრივ და მორალურ მხარეს, მე არ ვიცი, ეს თვითონ მათი გადასაწყვეტია, მათი ახლობლების და მე ვერავის ვერ მოვუწოდებ, სახლში არ შეუშვან; მაგრამ ის, რომ ახლობელი აღმოაჩენს, რომ თურმე მისი მამა, ქმარი, ძმა, შვილი, ნათესავი ასეთ რამეს სჩადიოდა, ალბათ, ამის გამო შეძრწუნებას გამოხატავს. მე არ ვიცი, რა ფორმით გამოხატავს, რა უნდა უთხრას, ხელი არ ჩამოართვას, დაანამუსოს, თუ რა უნდა ქნას, ეს მე არ ვიცი. მთავარი, ალბათ, ამ მომენტში ისაა, რომ ის ადამიანები, ვინც ამას სჩადიოდნენ, თვითონ უნდა მიხვდნენ და მოინანიონ ეს მძიმე ტვირთი.

**— პირველი ოქტომბერი „ქართული ოცნების“ მომხრეთათვის გარდატეხის მომტანი იქნება?**

— არ ვიცი, მე ძალიან მინდა, „ოცნებამ“ გაიმარჯვოს, რადგან ის რეჟიმი, რომელიც დღეს არის, ჩვენი ერის, ჩვენი მომავლის, შვილების მტერია. ამიტომ გამიხარდება, თუ რეჟიმი შეიცვლება. ბიძინა ივანიშვილის გარდა, სხვა გამაერთიანებელს ვერ ვხედავ. სხვა ალტერნატივა არ ჩანს. მომავალში, თუ ივანიშვილს რაღაც შეეშლება, ჩვენ, ასევე, უნდა გამოვიდეთ და პროტესტი გამოვხატოთ. ივანიშვილი ამბობს, რომ მე მარტო არ ვმართავ, მე ყოველთვის მყავს გუნდი და ვითვალისწინებ სხვის აზრს. ნეტავი, ასე იყოს და ეს სიმართლე იყოს, რადგან ერთპიროვნულმა მმართველობამ სადამდე მიიყვანა საზოგადოება და ქვეყანა, უკვე ჩანს. აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის. ეგ არის უბედურება, რომ დღეს ამ ერთ კაცს ჰგონია, რომ თვითონ არის ყველაფერი. და ამ დროს ვინ არის? იგი ჩვენი მსახური უნდა იყოს, იმიტომ ავირჩიეთ, რომ ქვეყანა მართოს. ის კი არა, რომ ჩვენ მისი ყმა-გლეხები ვიყოთ და რასაც უნდა, იმას გაგვიკეთებს.

**მანანა ნოზაძე**

## ინფორმაცია

### სააკაშვილს ურჩევენ არ გაიმეოროს პუტინის სცენარი



**ბრიტანეთის პარლამენტის წევრი დენის მაკშეინი სააკაშვილს ურჩევს, დახმარებისათვის ევროკავშირს მიმართოს. ამის შესახებ მაკშეინმა სტატია ბრიტანულ გამოცემაში გამოაქვეყნა, სადაც საქართველოში მიმდინარე მოვლენების ერთგვარ პოლიტიკურ ანალიზს გვთავაზობს.**

**— საერთაშორისო ნდობის აღსადგენად სააკაშვილმა უნდა მიმართოს ევროკომისიას ან ევროპის საბჭოს სპეციალური კომისიის შექმნის თხოვნით, რომელიც ჯეროვნად გამოიძიებს ქართველ პატიმართა წამების საშინელ ფაქტებს, რაც ასახულია ვიდეოში, — აცხადებს იგი.**

**მაკშეინი ვრცლად მიმოიხილავს, ასევე, მთავრობისა და ოპოზიციური ძალების დაპირისპირებას.**

**— სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადა 2013-ში მთავრდება და თითქმის ყოველი საერთაშორისო რანგის სტუმარი, ჩემი ჩათვლით, ეუბნება, რომ არ უნდა გაიმეოროს პუტინის სცენარი, რათა გაგრძელდეს ქართულ პოლიტიკაში მისი ათწლიანი დომინირება. თუმცა, უნდა გახდეს თუ არა ზღაპრულად მდიდარი ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი მისი მემკვიდრე, ეს ღია საკითხად რჩება, — წერს ბრიტანელი დეპუტატი.**

**ბრიტანელი პარლამენტარის აზრით, რომელიც წარსულში ქვეყნის ევროპის მინისტრიც გახლდათ, სკანდალურმა ვიდეომ კიდევ უფრო დაამძიმა ქვეყანაში არსებული ისედაც დაძაბული სიტუაცია — „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებული სიტუაცია ახლოსაც ვერ მივა იმასთან, რაც ხდება რუსეთში, ამ ვიდეომ ცხადყო, თუ კიდევ რამდენია გასაკეთებელი საქართველოში, რომელიც აცხადებდა, რომ საბოლოოდ შეწყვიტა წარსულის მანკიერი პრაქტიკა“.**

**— ყოველი ერი ფასდება იმით, თუ როგორ ეპყრობიან იქ მოქალაქეებს და განსაკუთრებით, ტუსაღებს. ვიდეომ აჩვენა, რომ საქართველომ ვერ გაიარა ეს გამოცდა და კარგი იქნებოდა, თუ ყველა პოლიტიკოსი — მიუხედავად პოლიტიკური პლატფორმისა, რომლებიც ერთმანეთს ძალაუფლებისათვის ებრძვიან, შეჩერდებოდა და დაუფიქრდებოდა იმას, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქართული სინამდვილე სრულად შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, — წერს დენის მაკშეინი.**

### ცესკომ უფლებამოსილებებს გადაამეტა

**როგორც ცესკოს თავმჯდომარესთან გუშინდელ შეხვედრაზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელმა თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა, საარჩევნო უბნებზე ფოტო და ვიდეოგადაღების უფლება საარჩევნო კოდექსში პარლამენტმა, სამოქალაქო სექტორის ძალისხმევით, ვიდეოთვალის გაუქმების საკომპენსაციოდ ჩადო. მისივე თქმით, საარჩევნო კოდექსის ჩანაწერით გათვალისწინებულ საკითხებზე აკრძალვის დაწესებით ცესკო საკუთარი მანდატის ფარგლებიდან გადის და მედიას თუ დამკვირვებლებს კანონით მინიჭებულ უფლებას უზღუდავს.**

**— თუ მედიის წარმომადგენლები საარჩევნო პროცესს ხელს უშლიან და დისკომფორტს ქმნიან, კომისიის თავმჯდომარეს მათი გაძევება ისედაც შეუძლია. შესაბამისად, ნორმატიული აქტებით ამ საკითხის დამატებითი რეგულირება საჭირო არ არის. ცესკო რეალურად ამით შესაძლო დარღვევების დაფიქსირებას კრძალავს. თუ ჩანაწერი არ გვექნება, შესაძლო დარღვევის ფაქტს ვერ დავამტკიცებთ. ამ დადგენილების მიღება საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობისთვის სერიოზული დარტყმა იქნება და ის დიდ საზოგადოებრივ პროტესტს გამოიწვევს, — აღნიშნა თამარ ჩუგოშვილმა.**

**დადგენილების პროექტის მიღმა რეგულირების ნაცვლად პოლიტიკურ მიზნებს ხედავს მედიაექსპერტი ზვიად ქორიძე. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წევრის განმარტებით, ცესკომ კანონის იგნორირება არ უნდა მოახდინოს, რადგან იგი კომისიის ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე ბევრად მაღლა დგას. გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაინტერესდნენ, რას ემსახურება აღნიშნული ცვლილების შემოღება არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე და ვინ არის მისი კონკრეტული ინიციატორი, თუმცა ამ კითხვებზე ცესკოს თავმჯდომარისგან კონკრეტული პასუხები ვერ მიიღეს.**

ინტერპრესი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ვაშინგტონი პარლამენტის არჩევნებს ლაკმუსის ტესტად მიიჩნევს

**ოფიციალურ პირებს ვაშინგტონი მიაჩნიათ, რომ მიუხედავად კანონდარღვევების წინასაარჩევნო პერიოდში, საქართველოში არჩევნები მაინც კონკურენტული იქნება, რადგან ოპოზიციას აქვს იმდენი ფული, რომ დაძლიოს მმართველი ხელისუფლების მიერ შექმნილი წინაღობები, – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა.**

მმართველი პარტია – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც სათავეში უდგას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, იყენებდა ადმინისტრაციულ რესურსს საარჩევნო კამპანიისას, „სდევნიდა“ ოპოზიციას, განაცხადა თომას მელიამ, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილემ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დარგში. მელიას თქმით, „შეშაშფოთებელია“ ისიც, რომ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატებს შორის არიან სახელმწიფო აუდიტის, იმ ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელი და მოადგილე, რომელიც მძიმე ჯარიმებს უწესებდა ოპოზიციის მთავარ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს.

მიუხედავად ამისა, არჩევნები იქნება კონკურენტული, განაცხადა მელიამ. „ცხადია, დიდწილად იმის გამო, რომ მთავარ ოპოზიციურ კოალიციას აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები ეს არჩევნები იქნება ყველაზე კონკურენტული საქართველოს ისტორიაში“. მელიამ 20 სექტემბერს ვაშინგტონში, ჰელსინკის კომისიაში მოსმენების დროს ილაპარაკა.

აშშ-ის ოფიციალური პირები ყურადღებით აკვირდებიან არჩევნებს, და არაერთხელ აღნიშნეს, რომ არჩევნების სათანადოდ ჩატარება ურთიერთობათა გაფართოებისთვის „ლაკმუსის ტესტი“ იქნება.

შეერთებული შტატები თავს შეიკავებს და არ განაცხადებს, იყო თუ არა ეს არჩევნები „თავისუფალი და სამართლიანი“ მანამ, სანამ ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომლის გუნდიც დააკვირდება არჩევნებს, არ წარმოადგენს თავის შეფასებებს, განაცხადა მელიამ.

ამ კვირას საქართველოს პოლიტიკური სცენა შეძრა ქართულ ციხეებში პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის საზარელი ფაქტების გამომჟღავნებამ. როდესაც მელიას ამის შესახებ ჰკითხეს, მისი პასუხი იყო შემდეგი: ეს არ არის გასაკვირი, რადგან სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშებში, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვას ეხება, ხაზგასმულია, რომ დარღვევები საპატიმროებში ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი უფლებადაცვითი პრობლემაა.

შეერთებული შტატები დააკვირდება არა მარტო მომავალ, პარლამენტის, არამედ პრეზიდენტის არჩევნების პროცესს, განსაკუთრებით კი იმას, შეეცდება თუ არა სააკაშვილი კანონებით მანიპულირებას, რათა გაახანგრძლივოს თავისი პოლიტიკური კარიერა. მისი საპრეზიდენტო ვადა გაისად იწურება და მას კონსტიტუციით ეკრძალება კიდევ ერთი ვადით დარჩენა ხელისუფლებაში. თუმცა, 2010 წელს მიღებულ იქნა საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევა მომავალ წელს და რომლებმაც მეტი ძალაუფლება გადასცა პარლამენტსა და პრემიერ-მინისტრს. ამან შედეგად გამოიღო სპეკულაციები, რომელთა თანახმად სააკაშვილმა შეიძლება გაიმეოროს მისი მოსისხლე მტრის ვლადიმერ პუტინის მაგალითი და გაისად პრემიერ-მინისტრი გახდეს.

აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა საჯაროდ და პირადად გააფრთხილეს სააკაშვილი ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

„ჩვენ ველით, რომ საქართველო გამართავს თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს ამ შემოდგომაზე და ბოლომდე მიიყვანს ძალაუფლების დემოკრატიულად გადაცემის პროცესს 2013 წელს“, განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის მდივანმა ჰილარი კლინტონმა საქართველოში ივნისში ვიზიტისას.

არ არის ცხადი, რამდენად ბოლომდე ესმის სააკაშვილს ეს გზავნილი, ამბობს დავით სუმბაძე, ვაშინგტონის აზია-კავკასიის ცენტრალური ინსტიტუტის თანამშრომელი. „აშშ-ის მთავრობა აგზავნის სიგნალებს, რომ (სააკაშვილის გაპრემიერმინისტრებაძ არ არის კარგი საქართველოსთვის, საქართველოს იმიჯისათვის დასავლეთში, საქართველოს მომავლისათვის და სააკაშვილის მემკვიდრეობისათვის, ამბობს სუმბაძე“.

საქართველოს ელჩმა ვაშინგტონში თემურ იაკობაშვილმა განაცხადა, რომ მისი მოლოდინით საპარლამენტო არჩევნები არ იქონიებს გავლენას ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ხარისხზე. „ჩვენ არ უნდა ვიყოთ იმ შთაბეჭდილების ქვეშ, რომ (თანამშრომლობა აშშ-სთანძ განმტკიცდება ან შესუსტდება... არა მგონია, რამემ შეაფერხოს ეს თანამშრომლობა“, – უთხრა მან ევრაზიანეტს.

EURASIANET.org

# საქართველოს ტელევიზიები ციხის სისასტიკის ამსახველ ვიდეომასალას ავრცელებენ

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მოუწოდა ამომრჩევლებს, მხარი დაუჭირონ მის პარტიას მომავალ პარლამენტის არჩევნებში იმ საპროტესტო აქციების ფონზე, რომელიც ციხის ძალადობის სკანდალს მოჰყვა და რომლის გამოც ორი მინისტრი გადადგა.**

შინაგან საქმეთა მინისტრმა და სასჯელაღსრულების მინისტრმა მას შემდეგ დატოვეს თანამდებობები, რაც ოპოზიციონერი ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მომხრე ტელევიზიებმა ციხეში მამაკაცი პატიმრების ცემისა და გაუპატიურების ვიდეოები გაავრცელეს.

ამ კადრების ჩვენებას თბილისისა და სხვა დიდი ქალაქების ქუჩებში ათასობოთ ადამიანის პროტესტი მოჰყვა.

ბოლო გამოკითხვების თანახმად, ბ-ნ სააკაშვილის მმართველ პარტიას ახლად ჩამოყალიბებულ კოალიცია „ქართული ოცნებაზე“ მაღალი რეიტინგი ჰქონდა, მაგრამ პატიმრებზე ძალადობით გამოწვეული საყოველთაო აღშფოთება ძირს უთხრის პრეზიდენტის განცხადებებს იმის თაობაზე, რომ კრიმინალი და კორუფცია ამოძირკვა და ქვეყანა სწრაფი მოდერნიზაციის პროცესშია.

„ის რაც მოხდა ყველანაირ ადამიანურ პრინციპს სცილდება“ ჩემ ცხოვრებაში იშვიათად ვყოფილვარ ასეთი გაბრაზებული და აღშფოთებული – შესაძლოა არც არასდროს“, თქვა ბ-ნ სააკაშვილმა.

„მაგრამ ჩვენ ვერ გადავაგდებთ ყველაფერს, რაც აქამდე გავაკეთეთ, არ მინდა ამ პატარა ფრაგმენტმა, როგორც სიმსივნე ისე რომ შეიჭრა ჩვენ ორგანიზმში, ჩვენი სახელწიფო დაანგრიოს. სიმსივნეს ძირფესვიანად მკურნალობა სჭირდება და ჩვენ ეს უკვე დავიწყეთ და ამის კეთებას განვაგრძობთ.“

პროკურატურამ ციხის 11 თანამშრომელი დააკავა, მათ შორის, ისინი ვინც ორგანიზება გაუკეთა და გადაიღო ვიდეომასალა ანონიმური წყაროს მიერ შეთავაზებული დიდძალი ფულის სანაცვლოდ.

საქართველოს უმდიდრესი ადამიანის, მილიარდერ ივანიშვილის მოკავშირეები უარყოფენ, რომ სკანდალთან რაიმე სახით არიან დაკავშირებული. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ალასანიამ თქვა, რომ გადაღებული მასალა „ნიღაბს ხსნის სააკაშვილის რეჟიმს, ააშკარავებს მის სადისტურ მექანიზმს პრიალა ფასადის უკან.“

ბ-ნი სააკაშვილი არის დასავლეთის მთავარი მოკავშირე არასტაბილურ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან კავკასიის რეგიონში, მაგრამ კრიტიკოსები მას ბრალს სდებენ განსხვავებული აზრის შეზღუდვაში, ოპონენტების სასტიკ დევნასა და საშინელ შეცდომებში, რის გამოც ოთხი წლის წინათ საქართველო რუსეთთან ხანმოკლე ომში დამარცხდა.



ბ-ნი ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს და მას შემდეგ, რაც პოლიტიკაში ჩაება, მილიონობით ევროთი დააჯარიმეს კამპანიის უკანონო დაფინანსების ბრალდებით. ივანიშვილი ამბობს ასევე, რომ პოლიცია და სააკაშვილის მომხრეები მის აქტივისტებს აშინებენ, სცემენ და აკავებენ.

ბ-ნი ივანიშვილი ამბობს, რომ ის აღიარებს არჩევნების იმ შედეგებს, რომელსაც დასავლელი მონიტორები სცნობენ. მაგრამ ასევე დაიმუქრა, რომ ერთ მილიონ ადამიანს გამოიყვანს ქუჩაში, თუკი არჩევნები გაყალბდება.

THE IRISH TIMES

# ათიათასობით ქართველი ძალადობის წინააღმდეგ გამოდის

**ქართულ ციხეებში პატიმრების სასტიკი წამების ამსახველი ვიდეომასალის გამოქვეყნების შემდეგ პრეზიდენტ სააკაშვილზე ზემოქმედება გაიზარდა. ათიათასობით მთავრობის მოწინააღმდეგე პატიმრების წამებას აპროტესტებს. ოპოზიციის ლიდერ ივანიშვილს დამნაშავეების სასამართლოს წინაშე ხილვა სურს.**

ციხეში სასტიკი წამების ვიდეომასალის გამო სკანდალის შემდეგ, პრეზიდენტი სააკაშვილი სულ უფრო დიდ გასაჭირშია. ქალაქ ზუგდიდში დიდი მიტინგის დროს, ოპოზიციამ მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის გარშემო მთავრობის ათიათასობით მოწინააღმდეგე შეკრიბა.

სააკაშვილის „კრიმინალური რეჟიმის“ დღეები დათვლილია, უთხრა შაბათს, პარლამენტის არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა შეკრებილთ. ამასთანავე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის უმდიდრესმა კაცმა თავის მომხრეებს პირველ ოქტომბერს არჩევნებამდე სიმშვიდისკენ მოუწოდა.

დედაქალაქ თბილისში სტუდენტები ძალადობას ისევ აპროტესტებენ.

სააკაშვილის წინამორბედმა ედუარდ შევარდნაძემ პატიმრების წამებისა და გაუპატიურების ამსახველ მასალებს „მონობასთან დაბრუნება“ უწოდა. 84 წლის შევარდნაძემ, ისევე როგორც პატრიარქმა მშვიდობისა და წესრიგისაკენ მოუწოდა.

ცხრა წლის წინანდელი მშვიდობიანი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რომლის დროსაც სააკაშვილმა შევარდნაძე მმართველობას ჩამოაშორა, სულ უფრო მეტი ადამიანი საუბრობს „ცოცხების რევოლუციის“ შესახებ. წამების ამსახველ ვიდეომასალაში პატიმრებს ცოცხის ტარით აუპატიურებენ. უკვე რამდენიმე დღეა, დიდწილად ახალგაზრდები პროტესტის გამოხატვისას ცოცხებს წვავენ. ივანიშვილმა ზუგდიდში განაცხადა, რომ ისეთი პასუხისმგებელი პირები, როგორიცაა შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, ბაჩო ახალაია, სასამართლოს წინაშე უნდა წარდგნენ.

SPIEGEL

## დედამიწის ზურგზე



**ავსტრალიაში თვითმფრინავის ბორტზე ნიანგი ნახეს**

როგორც ჩანს, ცხოველმა შეძლო თავისი კონტეინერიდან გამოძრომა და მშვიდობიანად დასეირნობდა საბარგო განყოფილებაში, როდესაც იგი ეკიპაჟის წევრებმა აღმოაჩინეს. საბედნიეროდ, მათ შეძლეს, დაეჭირათ რეპტილია და კვლავ ჩაეკეტათ იგი გალიაში. ავიაკომპანიაში დაიწყეს გამოძიება გადაზიდვის წესების დარღვევის საქმესთან დაკავშირებით.

* * *

**არჩევნები ბელარუსულად – „ბედნიერება ხალხისთვის“: პარლამენტში შევიდნენ მხოლოდ ლუკაშენკოს მომხრეები**



ამჟამინდელი კურსის მომხრეთა გასაოცარი წარმატება ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განმარტა მარტივად – კანდიდატები იყვნენ ძლიერები, კონკურენცია კი განსაკუთრებული არ ყოფილა. ოპოზიციონერები და საერთაშორისო მეთვალყურეები აცხადებენ არადემოკრატიული არჩევნების შესახებ. მაგრამ პრეზიდენტი ლუკაშენკო კმაყოფილია: „ჩვენთან მოსაწყენია – დაე, შეშურდეთ ჩვენი“.

* * *

**მომაჯადოებელი ვიდეო: ფოტოგრაფმა ათასი ფოტოგრაფიის დახმარებით 12 წელიწადი 8 წუთში „აცხოვრა“**



როლიკში, რომელიც შეგვახსენებს წარმავალი ყოფისა და წუთიერი დროის შესახებ, შეიძლება თვალყური გაადევნო, თუ შავგვრემანი მოზარდი როგორ ელვისებურად გადაიქცევა წვერიან ახალგაზრდა მამაკაცად. მთლიანად პროექტისთვის ნოი კალინამ გადაიღო უკვე 4515 ფოტოგრაფია. მან პირველი სურათი 2000 წლის 11 იანვარს გადაიღო.

* * *

**მუსლიმანებმა შეუტიეს აშშ-ის საელჩოს ათენში – დაკავებულია 40 კაცი**

გასულ კვირას ქალაქის ცენტრში ომონიის მოედანზე დაახლოებით 700 კაცი შეიკრიბა. შემდეგ ხალხის მასა გაემართა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიმართულებით, სადაც რამდენიმე კაცი შეეცადა, გაერღვია პოლიციის კორდონი. ამგვარი აქციები გაიმართა ბანგლადეშში, ირანსა და პაკისტანშიც.



შაბათ-კვირის ჩანაწერები

# ახალი ქართული ფენომენი — „ქართული ციხე“

ქართულმა ნიჭიერებამ, შინაგანმა ბუნებამ შექმნა და მსოფლიომ აღიარა: ქართული სტუმარ-მასპინძლობის, ქართული სუფრის, ქართული ღვინის, ქართული თეატრის, ქართული კინოს... ფენომენი. გვეამაყება ეს ყოველივე – გადმოცემული წინაპართაგან, მათი ნიშატითა და მადლით აღბეჭდილი... მაგრამ, თურმე, არ მოიცდით?! ოცდამეერთე საუკუნის მეორე ათწლეულში, ნორვეგიის სასამართლო რომ „ჰუმანიზმის“ ყველა რეკორდს ხსნის და 77 ქალ-ვაჟის მკვლელ ნაძირალა ბრეივიკს ტელევიზორითა და ინტერნეტით უზრუნველყოფილ და გასართობ, ვითომ, „კარცერში“ ათავსებს, ჩვენი ქვეყანა, რომლის მწერლობასაც, როგორც ჩემი მეგობარი და გონიერი ლიტერატორი თამაზ ტყემალაძე ამბობს, თავისი „სიქართულიდან“ გამომდინარე, ზედმეტად უარყოფითი გმირიც არ შეუქმნია, ჩვენი ძალოვანი სტრუქტურების ზოგ წარმომადგენელს, როგორც ახლახან გაცხადდა, ნაძირალად აყალიბებს. მაშ, მსოფლიომ გაიცნო სრულიად **ახალი „ქართული ფენომენი“** – სამწუხაროდ, არა საამაყო, არამედ თავმოსაჭრელი და სამარცხვინო... გიხაროდენ, ქართველო! თურმე, შენს სისხლსა და ხორცს ისიც შეძლებია, რომ ციხის კედლებში მოხვედრილი მამაკაცები და 14-15 წლის ბიჭები აწამოს, აუპატიუროს და შემდეგ, სახლში მისულმა, გამზრდელ დედას მოეფეროს (თუ ცოცხალი ჰყავს), შვილს მოეფეროს, შვილიშვილს მოეფეროს!..

კი, მიშამ და მისმა დამქაშებმა შექმნეს ძალმომრეობაზე, უუფლებობაზე აგებული სახელმწიფო, მაგრამ თქვენ როგორ კისრულობდით, რა ფასად კისრულობდით ამ უსულგულობას, თქვე, მართლა სულ-გულჩაბინძურებულნო!

# კარგია მუდამ მტრიანი!

შევცქეროდი შაბათს ბატონ ბიძინა ივანიშვილის გამოსვლას ზუგდიდში, მრავალათასიან მიტინგზე და ლექსის რამდენიმე სტრიქონი, გენიალური ვაჟას მოტივზე, თავისთავად წამოტივტივდა გონებაში ტელევიზორის წინ:

**ბიძინა ივანიშვილი,**
**კაცია დავლათიანი,**
**აკაკის კუთხის გაზრდილსა,**
**სიტყვა მაუდის გზიანი,**
**სამშობლოს გადასარჩენად**
**ჰკაფა გზა ნარ-ეკლიანი,**
**ცუდას რად უნდა მტერობა,**
**კარგია მუდამ მტრიანი!**

# დიახ, ეს ჟურნალისტიკაა, ბატონებო!

ჟურნალისტიკამ, უპირველესად, ტელეჟურნალისტიკამ, შეარყია გასულ კვირაში მთელი საქართველო, და გვინდა თუ არ გვინდა, სიმართლე აუწყა მსოფლიოს, წარმოაჩინა გამაოგნებელი ვიდეომასალა, რაც ქართულ ციხეებშია გადაღებული. დიახ, ეს არის, ამჯერად, „მოყვარეს პირში უძრახე“, ვიდეომასალა, რამაც თავდაყირა დააყენა „ნაციონალების“ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების კი არა (თუ მათ, საერთოდ, სინდის-ნამუსი შერჩათ), მონაწილეობის საკითხიც კი.

დიახ, ეს ჟურნალისტიკის დამსახურებაა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, უპირველესად, ტელეჟურნალისტიკისა, რომლის გავლენა დღეს უზარმაზარია ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაზე. კი ბატონო, თავის დროზე, ჟურნალისტიკის ძირსა და ფესვს პრესას (დღემდე რომ შევრჩი ავად თუ კარგად) იყო მინდობილი მთელი მსოფლიო, ახლაც უდიდესია მისი როლი, როგორც დაბეჭდილი „საბუთისა“, როგორც დროის მემატიანისა, მაგრამ, ოპერატიულობით „დაგვჩაგრა“ ტელევიზიამ და, რა ვქნათ ახლა, ისღა დაგვრჩენია, ჩვენი ტელეკოლეგების ცინცხალი ინფორმაციები გულდაგულ გავაანალიზოთ გაზეთების ფურცლებზე.

ამჯერად კი, მე, როგორც ერთმა, „თავდაღმართში“ მიმავალმა პრესის მუშაკმა, მინდა, ქებათა-ქება, დიახ, დიახ, ქებათა-ქება, ვუძღვნა იმათ, ვინც დღეს ასე მეამაყება: მაგალითად, ტელეკომპანია „კავკასიას“, ქალბატონი ნინო ჯანგირაშვილისა და ბატონი დავით აქუბარდიას თამადობით. თავისი მართალი სიტყვის გამო, არცერთ დამოუკიდებელ ტელეკომპანიას („კავკასიის“ მეტი არც არავინ არსებობდა ამ ოცი წლის მანძილზე) არ ჰქონია ხელისუფლებასთან იმდენი უსიამოვნება და დავიდარაბა, როგორც „კავკასიას“, ამ ტელეკომპანიაში აქვთ, აგრეთვე, თავიანთი გაბედული, გულსმოსახვედრი გადაცემები ახალგაზრდა, ნიჭიერ ალეკო ელისაშვილს, პრესის „ძველ“ გამორჩეულ მუშაკს ზვიად ქორიძეს...

„კავკასიას“ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, სიმართლის მსახურებად შეემატნენ „მაესტრო“ და „მეცხრე არხი“. სწორედ „მაესტროდან“ („კავკასიასთან“ ერთად) გააცნო ქვეყანას ამაზრზენი კადრები მახვილგონიერმა, ნიჭიერმა გურულმა შალვა რამიშვილმა (აქვე უნდა აღინიშნოს მედიაკავშირ „ობიექტივის“ დამფუძნებლის, ტელეჟურნალისტ ირმა ინაშვილის დამსახურება)... ამ არხებზე თავიანთ ნიჭსა და უნარს თითქმის ყოველ საღამოს ავლენენ ნათია ტრაპაიძე, ნათია მიქიაშვილი, ნანა ლეჟავა, ეკა ბერიძე, ნინო ჟიჟილაშვილი, ვასილ მაღლაფერიძე... და, რაღა თქმა უნდა, მამუკა ღლონტი და ირაკლი ტრიპოლსკი... აღსანიშნავია, „მეცხრე არხის“ ინფორმაციების სიუხვე და უკომპრომისო პოზიცია.

სხვათა შორის, ეს ტელეკოლეგები ყოველთვის თავიანთი პრინციპების ერთგულნი იყვნენ და არ უხდებოდათ საქართველოში ხელისუფლების ცვლილებებთან ერთად ფიცხლად აქეთ-იქით „გადაბარგება“, მათ არც ამჯერად დასჭირდებათ „ფაციფუცი“ (1 ოქტომბრის შემდეგ), როგორც ეს გუშინ-გუშინწინ სახელისუფლებო არხზე ამაყად „მორაკრაკე“ ჩვენს ზოგიერთ „კოლეგას“ დასჭირდა, რომლებიც მხოლოდღა ქართულ ციხეებში დატრიალებულმა ამაზრზენმა ამბებმა „გამოაფხიზლეს“, აქამდე კი ტაშს უკრავდნენ „ნაციონალებისა“ და მისი ლიდერის ანტიეროვნულ ქმედებებს და ახლა „ჩემოდნებს“ ალაგებენ სხვადასხვა ტელეარხებზე გადასაბარგებლად! ფრთხილად, მეგობრებო, ფრთხილად, ჩვენო დათო აქუბარდიავ, ალალად რომ მიიწვიე იმ საღამოს „კავკასიაზე“ სამუშაოდ ქალბატონი ეკა კვესიტაძე!.. ჟურნალისტიკაში ასეთი ხალხის ყოფნამ ათქმევინა არც მთლად სიმართლეს მოკლებული ფრაზა დიდ რუს მწერალს: „ჟურნალისტიკა, ეტო ვტარაია დრევნეიშაია პროფესია“.

მადლობა ღმერთს, თქვენი რწმენისა და პოზიციის ხალხი არ ჰყავდა მას მხედველობაში.

# ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ!

ჰქონდა ჩვენს სტუდენტობას ხელისუფლებისთვის სასაყვედურო და საპროტესტო უგვანო სწავლა-განათლების სისტემის გამო, ღირსეული, საყვარელი, საკუთარი პრინციპების გამტარებელი პროფესორ-მასწავლებლების უნივერსიტეტებიდან და ინსტიტუტებიდან დათხოვნის გამო... და ისინიც, თუმცა „ლოკალურად“, მაგრამ მაინც თავიანთ თავს „ახსენებდნენ“ „ზემდგომებს“, მაგრამ იმას, რაც ამ დღეებში უკვე მსოფლიომოვლილმა, საქართველოში დატრიალებულმა სამარცხვინო ამბებმა ახალგაზრდებს შემართება შესძინა, ჩვენს მახსოვრობას შემორჩენილი 1978 წლის 14 აპრილის აქცია ოდნავ თუ შეედრება.

რაც მთავარია, თბილისელ ახალგაზრდებს თანაუგრძნობს და სოლიდარობას უცხადებს მთელი ქვეყნის სტუდენტობა.

თქვენ ვინ ყოფილხართ, შვილებო!.. თქვენ ვინ ყოფილხართ, ბიძიებო!... მაშ, თქვენი საქართველოსთვის, უკეთესი ხვალინდელი საქართველოსთვის, „გამოდით, თქვენი ჭირიმე!“

**ვილენ მარდალეიშვილი**

ინფორმაცია

## გოჩა ტყეშელაშვილი „ქართული ოცნების“ წევრი გახდა



**ეროვნული მედიაპროექტ „ეტალონის“ ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი „ქართული ოცნების“ წევრი გახდა. ამის შესახებ განცხადება ტყეშელაშვილმა კოალიციის ცენტრალურ ოფისში გააკეთა.**

**— მე ვიყავი „ქართული ოცნების“ გულშემატკივარი, მაგრამ დღეიდან ვხდები კოალიციის წევრი. უკვე დავწერე ოფიციალური განცხადება და და ამიერიდან ამ გუნდის წარმომადგენელი ვიქნები. გეტყვით მიზეზსაც — პენიტენციარულ სისტემაში განვითარებული მოვლენები იყო ბოლო წვეთი, თუმცა ყოველგვარ ზღვარს სცდება ისიც, რაც დღეს ხდება — საქმე გვაქვს დადგმულ სპექტაკლებთან, ინდურ ფილმებთან. ეს არ არის დემოკრატიული ქვეყნის არჩევანი. მიმაჩნია, რომ სწორი გზა „ქართული ოცნებაა“. ყველა მამულიშვილს მოვუწოდებ, გააკეთოს სწორი არჩევანი, — აცხადებს ტყეშელაშვილი. ამასთან, მან თამაზ თამაზაშვილზეც გააკეთა კომენტარი და საზოგადოებას მოუწოდა, რომ ხელისუფლების მიერ მისი მისამართით გაჟღერებული „ცილისმწამებლური განცხადებები არ დაიჯეროს“. — თამაზ თამაზაშვილი წლებია ჩემი მეგობარია. ის ღირსეული, ჯანსაღი ცხოვრებით მცხოვრები ადამიანია. არ დაიჯეროთ მისი მისამართით გაკეთებული ცილისმწამებლური განცხადებები, — აღნიშნავს ტყეშელაშვილი.**

ინტერპრესი

# ღირსეული ქალბატონი

**„მრავალნი არიან ჩინებული და მცირედნი რჩეულნი“. სწორედ რჩეულთა რიცხვს განეკუთვნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი რუსუდან ქუთათელაძე.**

**ამ სანდომიან, მომხიბლავ ახალგაზრდა ქალბატონს შეხედავ თუ არა, იმწამსვე იგრძნობ, რომ მასში თანაბარი ჰარმონიულობით შერწყმულია მაღალი ადამიანური თვისებები და მეცნიერული ჭეშმარიტება.**

**თუ შეგიძლიათ სხვისი გასაჭირი გაითავისოთ, ეს დიდი კეთილშობილებაა. როცა შეგიძლიათ ადამიანს მოუსმინოთ, ეს დიდი შინაგანი კულტურის მაჩვენებელია. სწორედ ამ თვისებებით არის გამორჩეული პროფესორი რუსუდან ქუთათელაძე.**

**ბრძენნი ამბობენ: ზნეობა და კულტურა ქმნის ერს და ქვეყანასო. ამიტომ ვგრძნობ, რომ საქართველო არ გამქრალა და არ გადაგვარებულა, რადგან ქართული სულიერება, სითბო, სიკეთე და სიყვარული ისევ არის ქალბატონ რუსუდანისნაირ სიკეთით სავსე ადამიანებში. დიდი მადლიერების გრძნობით მინდა აღვნიშნო ქალბატონი რუსუდანის მიერ გაწეული ის დიდი სიკეთე, რაც მან ჩემდამი გამოიჩინა.**

**მე, ამჟამად, უმუშევარ მარტოხელა დედას, რომელიც წყნეთის საბავშვო სახლიდან აყვანილ შვილს ვზრდი, მისი დახმარებით მომცეს საათობრივი დატვირთვა.**

**ქალბატონო რუსუდან, გვიმრავლოს უფალმა თქვენნაირი კეთილშობილი ადამიანები.**

**დაე, სითბოთი და სიკეთით გქონოდეთ აღვსილი ყოველი დღე.**

**იზოლდა ბურძგლა,**
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ 32 წლის, ვმუშაობ დაქირავებით. დამსაქმებელი ერთსა და იმავე პირობებზე გვიფორმებს რამდენიმე ხელშეკრულებას. გთხოვთ, მაცნობოთ, ასეთ შემთხვევაში რომელ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა?**

**ოთარ თორია**

**პასუხი:** კანონის თანახმად, დამსაქმებელთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ბოლოს დადებულ ხელშეკრულებას.

* * *

**კითხვა: ამ რამდენიმე დღის წინათ შვილად ავიყვანე ერთი თვის ბავშვი. ვმუშაობ, გთხოვთ მაცნობოთ, რა ხანგრძლივობის ფასიანი და უხელფასო შვებულება მეკუთვნის?**

**მაია ნინიძე**

**პასუხი:** შვებულება გეკუთვნით საერთო ჯამით 365 კალენდარული დღის ხანგრძლივობით, საიდანაც ანაზღაურებადია 70 კალენდარული დღე.

* * *

**კითხვა: ვმუშაობ სახელმწიფო დაწესებულებაში მცირე ხელფასზე, არ ვარ საჯარო მოსამსახურე. გთხოვთ, მაცნობოთ, კანონის თანახმად, შემიძლია თუ არა ვიმუშაო შეთავსებით?**

**ანა მჭედლიძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება.

* * *

**კითხვა: ვმუშაობ შრომითი ხელშეკრულებით, მიმაჩნია, რომ ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას დროულად და ხარისხიანად ვასრულებ. დამსაქმებელი მაინც უკმაყოფილოა ჩემი მუშაობით და დადებული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით მემუქრება. იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე და დახმარებისთვის ვის მივმართო?**

**ამირან გოგორიშვილი**

**პასუხი:** თუ თქვენი მხრიდან შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, დამსაქმებლის გადაწყვეტილება – ყოვლად უმიზეზოდ ვადამდე შეგიწყვიტოთ ხელშეკრულება, არ იქნება მართებული. დაელოდეთ მოვლენის მსვლელობას და თუ ნამდვილად, სათანადო საფუძვლის გარეშე ვადამდე დამსაქმებელი შეგიწყვეტთ შრომით ხელშეკრულებას, მოტივირებული განცხადებით დაუყოვნებლივ მიმართეთ სასამართლოს თქვენი კანონიერი უფლებების დასაცავად.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.**

ფეხბურთი

# „დინამომ“ ლიდერობა დაიბრუნა



**XXIV ეროვნული ჩემპიონატის VI ტურის შემდეგ გათამაშებას ახალი ლიდერი ჰყავს თბილისის „დინამოს“ სახით, რომელმაც წარმატებით შეასრულა პროგრამა-მინიმუმი და ბურთების შეფარდებით დაწინაურდა.**

კალენდრის შესაბამისად, ქუთაისის „ტორპედოს“ თამაში „ბათუმთან“ ერთი საათით ადრე დაიწყო, ვიდრე მისი მთავარი კონკურენტისა.

მიუხედავად იმისა, რომ რიონისპირელებმა დიდი უპირატესობით დაასრულეს შეხვედრა — 5:1, „თეთრ-ლურჯებმა“ კიდევ უფრო სოლიდური ანგარიშით დააჩოქეს უხერხული მეტოქე — „ვიტ ჯორჯია“ 5:2 და სულ მცირე ერთი კვირის განმავლობაში სატურნირო ცხრილის პირველ პოზიციაზე დამკვიდრდნენ.

არადა, ძნელი სავარაუდო იყო, რომ მატჩს ასეთი ფინალი ექნებოდა, რადგან ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო-არენაზე“ გაჩაღებული თანაბარი ბრძოლის 70 წუთის შემდეგ ტაბლოზე მხოლოდ 1:0 კიაფობდა (ჩისტკომ დიდებულად დაარტყა საჯარიმო).

გადამწყვეტი აღმოჩნდა ვეტერინართა საჯარიმოში შექმნილი ეპიზოდი, როცა ნომინალურ მასპინძელთა ახალმა კაპიტანმა ჩისკომ „მწვანეთა“ მცველს წესები დაარღვევინა და ზუსტად შესრულებული პენალტით „დუბლი“ გაიფორმა — 2:0.

აქედან მოყოლებული, მერაბ კოჭლაშვილის გუნდი სტატისტად იქცა, წაქცეულის ცემა კი მერებაშვილის „დუბლითა“ და კვარაცხელიას „მაკრატელათი“ დაგვირგვინდა — 5:0.

**დანარჩენი შედეგები:** „ტორპედო“ — „ბათუმი“ 5:1, „ბაია“ — „ჩიხურა“ 4:2, „მეტალურგი“ — „კოლხეთი“ 2:0, „მერანი“ — „სიონი“ 1:0, „ზესტაფონი“ — „დილა“ 0:1.

ასე რომ, „დინამო“ და „ტორპედო“ 15-15 ქულითა და ბურთების ერთნაირი შეფარდებით — 17:4 წამყვან პოზიციას ინაწილებს, თუმცა პირად შეხვედრაში მოპოვებული გამარჯვებით — 3:2 პირველ ადგილზე თბილისელები იმყოფებიან.

* * *

**იტალია.** **„იუვენტუსი“ — „კიევო“ 2:0, „ლაციო“ — „ჯენოა“ 0:1, „პარმა“ — „ფიორენტინა“ 1:1, „ინტერი“ — „სიენა“ 0:2.**

**ესპანეთი.** **„ბარსელონა“ — „გრანადა“ 2:0, „ბილბაო“ — „მალაგა“ 0:0, „ატლეტიკო“ — „ვალიადოლიდი“ 2:1.**

**ინგლისი.** **„ლივერპული“ — „მანჩესტერი“ 1:2, „სიტი“ — „არსენალი“ 1:1, „ჩელსი“ — „სტოკი“ 1:0.**

**გერმანია.** **„შალკე“ — „ბაიერნი“ 0:2, „ჰამბურგი“ — „ბორუსია“ 3:2, „ნიურნბერგი“ — „აინტრახტი“ 1:2, „ვერდერი“ — „შტუტგარტი“ 2:2.**

**საფრანგეთი.** **„ბასტია“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 0:4, „ლილი“ — „ლიონი“ 1:1.**

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# სატრაბახო ნამდვილად გვაქვს

**იტალიური საკალათბურთო სეზონი ქართული დერბით გაიხსნა და ორივე ჩვენი თანამემამულე სატიტულო ბრძოლის მთავარ მოქმედ პირად იქცა.**

მოგეხსენებათ, სიენას „მონტეპასკიმ“ შარშან „დუბლი“ შეასრულა, ამიტომ ლოგიკურიცაა, რომ თასის გათამაშების ფინალისტ „კანტუსთან“ შეხვედრაში ფავორიტად სწორედ ის მიიჩნეოდა, თუმცა მატჩის მსვლელობამ პროგნოზები დაამსხვრია.



მოვლენები ძალთა შეფარდებითი ნუსხის შესაბამისად მხოლოდ დებიუტში განვითარდა, დროის დარჩენილ მონაკვეთში კი უპირატესობას „კანტუ“ ფლობდა და გამარჯვებაც მოიპოვა — 80:73.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მანუჩარ მარკოიშვილი აღიარეს — 15 ქულა, 5 მოხსნა. უფრო შთამბეჭდავი მონაგარი ჰქონდა დამარცხებულთა დებიუტანტ ვიქტორ სანიკიძეს — 17 ქულა, 16 მოხსნა, თუმცა პარტნიორებმა მას მხარი სათანადოდ ვერ აუბეს.

**ეტყობა, გიორგი შერმადინი ახალ კლუბს თელ-ავივის „მაკაბის“ უკვე გაუშინარდა, რაშიც ნიურნბერგში დასრულებული ოთხთა ტურნირი გვარწმუნებს.**

მართალია, ისრაელის უძლიერესმა გუნდმა ორი ბრძოლა წააგო, მაგრამ „ჯვაროსანთა“ ცენტრი, დებიუტანტის კვალობაზე, ღირსეულად გამოიყურებოდა.

**„მაკაბი“ — „ხიმკი“ 60:80. 15 ქულა, 7 მოხსნა, 2 დაფარება.**

**„მაკაბი“ — „ბამბერგი“ 70:77. 10 ქულა.**

**„მაკაბი“ — „ოლიმპიაკოსი“ 92:74. 14 ქულა, 14 მოხსნა.**

ეროვნული ჩემპიონატის სტარტამდე „მაკაბი“ საფრანგეთში იქაური „პარი ლევალუას“, „ბელგიის“ შარლერუას“ და თურქეთის „გალათასარაის“ მონაწილეობით გასამართ მორიგ ტურნირში ითამაშებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ძიუდო

# უხვი ნადავლით პორეჩიდან

**ერთი „ოქრო“, ოთხი „ვერცხლი“, ორი „ბრინჯაო“ და გუნდური მესამე ადგილი (პირველ-მეორე ადგილებზე რუსები და ბერძნები გავიდნენ) — ასეთი მონაგრით დაასრულეს ხორვატიის ქალაქ პორეჩში ევროპის ახალგაზრდული პირველობა ქართველმა ფალავნებმა.** ნაკრების მთავარ მწვრთნელ გიორგი გუგავას შეჯიბრებაზე 16 კიმონოიანი ჰყავდა წაყვანილი (თითოეულ წონაში 2-2 წარმომადგენელი). განსაკუთრებით მძიმეწონოსანმა ლევან მატიაშვილმა იყოჩაღა: ზედიზედ სძლია ესტონელ ჰენრიხ სილდვეერს, თურქ სემიჰ ადიამანის, რუს პიოტრ კაკოვკინს, უკრაინელებს — ანდრეი კოლესნიკსა და მიკიტა დიბრინს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მსგავსი წარმატების მოპოვების შანსი კიდევ ოთხ ქართველს ჰქონდა, მაგრამ მათ ფინალური პაექრობები დათმეს: 55 კილოში ლერი ჭელიძემ ადრიენ ქერტინმონტთან (ბელგია) წააგო, ვაჟა მარგველაშვილი (60) ზაურ კალაშოვთან (რუსეთი) დამარცხდა, ფრიდონ გიგანს (73) დამიან ზვარნოვიცკიმ (პოლონეთი) აჯობა, ხოლო ბექა ღვინიაშვილი (81) ბერძენმა ალექსიოს ნტანაციდისმა დაჯაბნა. ლევან გუგავა (73) და გურამ თუშიშვილი (100) მესამე ადგილებს დასჯერდნენ.



**ლაშა დიდია**

ჭიდაობა



# ჯილდები ფულმა ვერ მიიზიდა

**აზერბაიჯანის დედაქალაქში ჰეიდარ ალიევის სახელობის „ოქროს დიდი პრიზის“ გათამაშება წლეულს საკმაოდ სოლიდური საპრიზო ფონდით (441 ათასი დოლარი) გამოირჩეოდა, მაგრამ უძლიერეს შემადგენლობას მაინც ვერ მოუყარა თავი, რადგან, ეტყობა, ოლიმპიადის მონაწილეებმა ხალიჩაზე ჯაჯგურს ზაფხულის ცხელი დღეების შემდეგ დასვენება არჩიეს.**

ქართველთაგან ტურნირში 11 ფალავანი ჩაება თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. მათგან ოქროს მედლები მხოლოდ თავისუფლებმა — ელიზბარ ოდიკაძემ (96) და გიორგი საკანდელიძემ (120) მოიხვეჭეს. თითოეულს ფულად პრიზად 10-10 ათასი დოლარი ერგოთ. ოდიკაძემ ილჰამ აბიდოვი (აზერბაიჯანი), შამილ ახმედოვი და ასლანბეკ ალიევი (რუსეთი) ჩამოიშორა გზიდან. საკანდელიძემ ჯერ ასლან ძებისოვსა და ალი ისაევს (ორივე — რუსეთი) აჯობა, ფინალში კი რუსი ალექსანდრ ბაზროვი დაჯაბნა.

ფარიკაობა

# ახალი სახეები კვარცხლბეკიდან

**თბილისის ფარიკაობის დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა მუშკეტერთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, აჭარისა და ოზურგეთის 100-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.** მოხმალავე ვაჟებში საუკეთესო გახლდათ 23-წლამდელებში წლევანდელი ევროპის პირველობის მე-3 პრიზიორი ბექა ბაზაძე (ქუთაისი), რომელმაც მეოთხედფინალში კადეტთა შორის შარშანდელი მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი მიხეილ მარდალეიშვილი ჩამოიშორა გზიდან, ნახევარფინალში უმცროს ძმას სანდრო ბაზაძეს მოუგო, გადამწყვეტ პაექრობაში კი საბა სულამანიძეს სძლია და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ქალებში პირველი იყო, ასევე, რიონისპირელი თეონა ყვავაძე. ფინალში მან თანაგუნდელი ანა სინატაშვილი დაამარცხა და ჩემპიონის ტიტული ოთხწლიანი შესვენების შემდეგ დაიბრუნა. ამ ხნის განმავლობაში ის საფარიკაო ბილიკებზე არ გამოსულა, რადგან გათხოვდა და დედა გახდა. დიდ სარბიელს ოჯახის წევრების, კერძოდ, მეუღლის თხოვნით დაუბრუნდა.



საინტერესო პაექრობები გაიმართა დაშნით ფარიკაობისას. საგულისხმოა, რომ გამოცდილ სპორტსმენებს აქ 15-წლიანებმა — ქრისტინე მიქაძემ (ქუთაისი) და მიქაელ მიქაელიანმა (თბილისი) აჯობეს.

აქვე გაუწყებთ მოფარიკავეთა სამივე სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

**ხმალი. ქალები.** 1. თეონა ყვავაძე, 2. ანა სინატაშვილი, 3. თამარ კენჯია და ქრისტინე სანდუხაძე (ოთხივე — ქუთაისი). **ვაჟები.** 1. ბექა ბაზაძე (ქუთაისი), 2. საბა სულამანიძე (თბილისი). 3: სანდრო ბაზაძე და გიორგი გორგიძე (ორივე — ქუთაისი).

**რაპირა. ქალები.** 1. თეონა გოგლიძე, 2. ნუცა იაგორაშვილი, 3. ანა მელია (სამივე თბილისი) და მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი). **ვაჟები.** 1. არჩილ უგულავა, 2. ლუკა ღალანიძე (ორივე — თბილისი), 3. ირაკლი ჭელიძე (ბათუმი) და ავთანდილ ჭეიშვილი (ქუთაისი).

**დაშნა. ქალები.** 1. ქრისტინე მიქაძე. 2. მარია ზაკირჩენკო, 3. თეონა ბენიძე (სამივე — ქუთაისი) და მარიამ ლომიძე (თბილისი). **ვაჟები.** 1. მიქაელ მიქაელიანი (თბილისი), 2. დავით არველაძე, 3. ირაკლი ამბროლაძე (ორივე — ქუთაისი) და გიორგი ქაფიანიძე (რუსთავი).



შეჯიბრების შედეგებით შეირჩა 1996 წელს და უფრო გვიან დაბადებულ მოფარიკავეთა ნაკრები, რომელიც 5-7 ოქტომბერს რაპირასა და დაშნაში საერთაშორისო ტურნირზე მოსინჯავს ძალებს.

**ლექსო ცინცაძე**

რაგბი

# სათავეში — „ლელო“ და „არმაზი“

**ქუთაისის „აიას“ და თბილისის „ლოკომოტივის“ მორაგბეთა გუნდები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებიდან მეტოქეობენ ერთმანეთს. მათი დაპირისპირება ყოველთვის სიმწვავით გამოირჩეოდა. ასე იყო ამჯერადაც. სპორტსმენებს საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენაში ხელი კოკისპირულმა წვიმამ შეუშალა.** ამის მიუხედავად, მატჩის საყურებლად მისულ ქომაგებს არ უნანიათ — საინტერესო პაექრობა იხილეს, რომელიც გარდამავალი უპირატესობით წარიმართა — ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხან — მეორე. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, მერე სტუმრებმა იყოჩაღეს — 9:3. შესვენებამდე „აიამ“ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და დაწინაურება — 14:12.



მეორე ტაიმიც იმავე სცენარით წარიმართა. ორივე გუნდი თავგამოდებით იბრძოდა და წაგებას არც ერთი მათგანი არ იმსახურებდა. საბოლოოდ სამართალმა პური ჭამა — შეხვედრა ფრედ — 25:25 დამთავრდა.

**ეროვნული ჩემპიონატის IV ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა:** „არმია“ — „ლელო“ 30:23, „ყოჩები“ — „ხარები“ (რუსთავი) 24:27, „ბათუმი“ — „არმაზი“ 13:18, „აკადემია“ — „ილიაუნი ჯიქი“ 9:39. ოთხი ტურის შემდეგ 16-16 ქულით „ლელო“ და „არმაზი“ მეწინავეობენ, „არმია“ და „ილიაუნი ჯიქი“ შესაბამისად, 14 და 13 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებენ .

**გივი გაგუა**

ინფორმაცია

## კონსულმა პროტესტის ნიშნად თანამდებობა დატოვა

ბარსელონაში საქართველოს კონსულმა პაატა პაპუაშვილმა პროტესტის ნიშნად თანამდებობა დატოვა. ამის შესახებ პაატა პაპუაშვილმა განაცხადა.

— მინდა გამოვხატო დიდი გულისტკივილი საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში მომხდარი ადამიანთა მასობრივი წამების ფაქტების გამო და გავიზიარო საქართველოს მოსახლეობის აღშფოთება ამ მოვლენებთან დაკავშირებით. ძალადობის მიმართ პროტესტისა და უფლებაშელახულ ადამიანთა სოლიდარობის ნიშნად, ვტოვებ დაკავებულ თანამდებობას, — ნათქვამია პაატა პაპუაშვილის განცხადებაში. მისი თქმით, მან უკვე მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. პაატა პაპუაშვილი ბარსელონაში საქართველოს კონსულის პოსტზე უკვე მესამე წელია მუშაობდა.

## იგეგმება მაჟორიტარობის კანდიდატის მხარდამჭერების დაკავება

მესტიაში „ქართული ოცნების“ აქტივისტის და მაჟორიტარობის კანდიდატის ვიქტორ ჯაფარიძის მხარდამჭერი ავთო ხერგიანის დაკავება იგეგმება. ამ ინფორმაციას სააგენტო „გურიანიუსი“ ავრცელებს.

„გურიანიუსის“ ინფორმაციით, ხერგიანმა კოალიცია „ქართული ოცნების“ მესტიის შტაბის წევრ კახა ჟორჟოლიანის დაკავებასთან დაკავშირებით მედიას და არასამთავრობო ორგანიზაციებს კომენტარი მისცა. ხერგიანის თქმით, პოლიცია სწორედ ამის გამო შეეცადა მის განეიტრალებას.

— დღეს აპირებდნენ ჩემს დაკავებას, სახლში მომაკითხეს, მაგრამ საარჩევნო შტაბში ვიყავი ჩასული, მეუღლეს მოაწერინეს ხელი, რომ გამოვცხადდე დაკითხვაზე. ახლა მირეკავს გამომძიებელი ნაჭყებია და მეუბნება, რაც მალე ამოხვალ, მით უკეთესი შენთვისო, — აცხადებს ხერგიანი. ავთო ხერგიანის განცხადებით, ჟორჟოლიანს პროვოკაცია მოუწყვეს. გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, მას შელაპარაკება მოუხდა ცესკოს ტრენერ არჩილ სოფრომაძესთან. თუმცა ხერგიანის თქმით, ცესკო უარყოფს, რომ სოფრომაძე მის მიერ გაგზავნილი ტრენერია. „ქართული ოცნების“ მესტიის შტაბში აცხადებენ რომ სოფრომაძე კუდ-ის თანამშრომელია.

## ცემეს „ქართული ოცნების“ აქტივისტები

გორში, ე.წ. წმინდა წყლის დასახლებაში „ქართული ოცნების“ ორი აქტივისტი — გიორგი ხახოშვილი და ვლადიმიერ სუჯაშვილი ცემეს.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, შემთხვევა „სოკარის“ ბენზინგასამართ სადგურზე მოხდა. არსებული ინფორმაციით, თავდამსხმელებს სახეზე ნიღბები ეკეთათ.

ხახოშვილი და სუჯაშვილი გორის საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

ინტერპრესნიუსი




ხსოვნა

## თენგიზ ჯინჯოლავა

ოთხმოცდაათიანი წლების საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით ვეთხოვებით იმ პერიოდის მინისტრის მოადგილეს ბატონ **თენგიზ ჯინჯოლავას**. მას უდიდესი ღვაწლი აქვს დამოუკიდებელი საქართველოს ჯანდაცვის სისტემის საფუძვლების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.



თენგო, თენგო აღარ გვყავს, ვეჩურჩულებით ერთმანეთს. პირველი გაფიქრება, გაელვება, შეგრძნება და ემოცია — არაორდინალურად მოაზროვნე, ეპოქა დამოუკიდებელ საქართველოს ჯანდაცვაში, მეცნიერი, მასწავლებელი, მეგობარი, უსაზღვრო სიყვარულით და თანაგრძნობით აღსავსე პიროვნება, ძარღვიანი, თავმდაბალი, მეოჯახე, ღირსეული ქართველი, თავისი კუთხის, სამეგრელოს დიდი მოჭირნახულე, ჩვენი და თითოეული ჩვენგანისთვის ცალკცალკე „ჩემი თენგო“...

მისი დაკარგვის ტკივილი ნელ-ნელა შემოგვეპარა. ერის გადარჩენისა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს გაძლიერების სურვილით ღამეების ნატეხი, სიბნელესა და გამყინვარებაში, შიმშილსა და ომების ქარცეცხლში მებრძოლი, ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი შემქმნელი და რეფორმატორი განგებამ ხელიდან გამოგვაცალა, სალტე შემოაჭდო, ბორკილდადებული ერის ტკივილს მიაჯაჭვა და თავზე წამებულის გვირგვინი დაადგა. დავკარგეთ, წავიდა. ნუთუ მართლა წავიდა? იქნებ ეს ის წასვლაა, როდესაც სამარადჟამოდ მოსვლისთვის იბადებიან, მოდიან და მოაქვთ მადლი, განათლება, მოყვასისა და სამშობლოს სიყვარული, მწიგნობრობა, კულტურა და მრწამსი, პასუხი იმაზე, რაც ვერ გავიგეთ კაცმა და ადამიანებმა. დიდისა და გენიალურის გაგება, მით უმეტეს მისი მიღება ძალზედ რთულია, ხშირ შემთხვევებში შეუძლებელიც კი, რადგან მზად არ ხარ, არ ვიყავით, არ იყვნენ და მაინც, სულ ცოტა რამ რაც გავიგეთ, დავინახეთ, შევიგრძენით და შევიძარით — „თენგოს ფენომენია“.

თენგიზი იყო და რჩება უზადო პროფესიონალიზმის, ინოვაციური აზროვნების, საოცარი თავმდაბლობის, შრომისმოყვარეობის, საქმისა და სამშობლოს უდიდესი სიყვარულის მაგალითად.

ბევრის თქმა ვერ შევძელით. ღმერთო მოგვეცი ძალა, მოვუყვეთ მთელ ქვეყანას არაჩვეულებრივ ადამიანსა და მეცნიერზე თენგიზ ჯინჯოლავაზე. მისი წასვლა ჩვენთვის აუნაზღაურებელი დანაკლისია. უფალო, ნათელში ამყოფე მისი სული.

თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს სამედიცინო საზოგადოებას.

90-იანი წლების საქართველოს
ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლები

**დაკრძალვა სამშაბათს 25 სექტემბერს, 14 სთ. ნუცუბიძის პლატო IV მკრ, V კორპუსი, ბ 70.**

საქართველოს თეატრალური საზოგადოება იუწყება, რომ გარდაიცვალა რუსთაველის თეატრის წამყვანი მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი

**ოთარ ზეთურიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ოთარ, ირინა ტურაბელიძეები, გიორგი ლაშხი, მამუკა ვაშაკიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**გია ხახუტაშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

საქიფათო მოდა

# აურზაური ფეხსაცმლის გამო

**ორთოპედებს ბოლო დროს დიდი განგაში აქვთ ატეხილი: ქალბატონების ფეხსაცმელი, რომელიც დიდად უნდა შვენოდეთ და თითოეული ინდივიდუალურ სტილს წარმოაჩენდეს, თურმე... ჯანმრთელობისთვის მავნე ყოფილა!**

### მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი

● **ამ ტიპის ფეხსაცმლის ყოველდღე ტარებას დროთა განმავლობაში განივი ბრტყელტერფობის წარმოშობა შეუძლია. ამ დროს ტერფის განივი თაღი ფართოვდება, ცერი თითი კი გვერდზე იწევს.** ადრე თუ გვიან ასეთი დეფორმაცია ართრიტისა და ოსტეოართროზის წარმოშობის მიზეზი ხდება. გარდა ამისა, როცა ასეთი ფეხსაცმლის ტარებისას ქალბატონები 7 სანტიმეტრზე ზემოთ „ადიან“, სხეულის სიმძიმის ცენტრი წინ გადაადგილდება. შედეგად ხერხემალს შორის დისკოსებზე დატვირთვა არათანაბრად ნაწილდება და მათ ცვლილებებს იწვევს.



### როგორ დავიცვათ თავი?

● **საამისოდ მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის დილიდანვე ტარებას უნდა მოვერიდოთ, მაგრამ თუკი ამას დრეს-კოდი, ანუ ვითარება მოითხოვს, ყოველდღიურად ტერფები გაივარჯიშეთ, რაც კუნთოვან-კვანძოვან აპარატს ამაგრებს — ესაა თითების გაშლა-მოხრის ვარჯიში.** გარდა ამისა, სპეციალისტები ქვიშიან საფარზე ფეხშიშველა სიარულის, ტერფების მასაჟისა და თბილი აბაზანების გაკეთების რეკომენდაციას იძლევიან.

* * *

**თუკი მაინცდამაინც მაღალქუსლიან ფეხსაცმელს აირჩევთ, ყურადღება მიაქციეთ მის მდგრადობას.** კუნთებისა და მათი კვანძების მოძრავუნარიანობის შესანარჩუნებლად საგანგებო ვარჯიშები გააკეთეთ — წრიულად ამოძრავეთ ტერფები, შეკუმშეთ და გაშალეთ თითები, ადგილზე ირბინეთ.

### საბალეტო ფეხსაცმელი (ესპადრილიები)

● **პრობლემას ქმნის რესორულ ფუნქციას მოკლებული ბრტყელი და თხელი ძირი. თუკი ესპადრილიებს ყოველდღიურად ატარებთ, დროთა განმავლობაში ეს ბრტყელტერფობას გამოიწვევს,** რომლის ფონზე შემთხვევათა 90 პროცენტში ქუსლის დეზი ვითარდება. ამიტომ ესპადრილიების დიდხანს ტარებას უნდა მოერიდოთ.

### პლატფორმა

● **ამ ტიპის ფეხსაცმელს ორთოპედები სხვებზე გაცილებით უფრო ტრავმატულად მიიჩნევენ. ზოგადად, სიარული რამდენიმე ფაზისგან შედგება: ჯერ ფეხი ქუსლს ეყრდნობა, შემდეგ ტერფის თაღსა და ფეხის წვერზე გადადის. პლატფორმა კი არც ერთი ამ მოძრაობის გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა.** მართალია, ბოლო მოდელებს, სიარულის ფაზების საიმიტაციოდ, წაჭრილი ცხვირით ან ქუსლით აკეთებენ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც წვივები და ტერფები არც დუნდება, არც იკუმშება, რაც ამერიკელ მეცნიერთა მონაცემებით, ყველას, ვინც გამუდმებით თხელძირა ფეხსაცმელს ატარებს, ფლატუნა სიარული უყალიბდება. ისინი სიარულისას ფეხის თითებს ოდნავ ხრიან, რის გამოც ტერფი იძაბება, რაც ძვლოვანი კორძების წარმოშობას, თითების და სახსრების დეფორმაციასა და ტერფის ართრიტს იწვევს.

### როგორ დავიცვათ თავი?

● **ბრტყელძირა ფეხსაცმლის შეძენისას ყურადღება მიაქციეთ აქვს თუ არა მას სუპინატორი:** მას ტერფის ტალი უჭირავს, რითაც ფეხის კუნთებზე დაძაბულობა ცხსნის და ბრტყელტერფობის განვითარებისგან გიცავთ.





### ფლოსტები

● **ფლოსტების სხვადასხვა ვარიანტი ხშირად საოფისე დრეს-კოდსაც არღვევს, თუმცა კი დასვენებისას მათ გარეშე ყოფნა წარმოუდგენელია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთ ფეხსაცმელს უკუჩვენება აქვს.** იმის გარდა, რომ ფლოსტებს ესპადრილიების დარად ქუსლის დეზის წარმოშობა და ტერფის ფასციტის გამოწვევა შეუძლია, ამასთან, ის, შესაძლოა, ინფექციურ დაავადებათა წყაროდაც იქცეს. ფლოსტებში ფეხი გზის მტვერისა და ქვიშისგან დაუცველია, რომელშიც ხშირად მავნე მიკროორგანიზმები ბუდობენ.

### როგორ დავიცვათ თავი?

● **როგორ და ქალაქში ფლოსტებით სიარულს უნდა მოერიდოთ, რადგან ამ ტიპის ფეხსაცმელი მხოლოდ აუზს, აბანოსა და პლაჟს უხდება.**

### მოკასინი

● **ამერიელ ინდიელთა ეროვნული ფეხსაცმელი დღესდღეობით ყველა ქვეყანაშია პოპულარული. მაგრამ საქმე ისაა, რომ ინდოელთაგან ამ მოხერხებული ფეხსაცმლის გადმოღების შემდგომ ევროპელებმა დაივიწყეს, რომ ინდიელები არასდროს ცდილობდნენ ის უნივერსალურად ექციათ.** ასეთ ხისტძირიან ფეხსაცმელს ტრამალებში მცხოვრები ხალხები ატარებდნენ. იგი ტერფს ქვებისგან და ეკლებისგან იცავდა, ფეხები კი ძალიან დიდი ხნის სიარულის შემდეგაც არ ელლებოდათ.

### როგორ დავიცვათ თავი?

● **ყოველდღიურად ქალაქში სახმარი მოკასინი ხისტი ძირით და პატარა ქუსლით უნდა იყოს, ხოლო სოფლის გზებზე სასეირნოდ რბილძირიანი მოკასინია საჭირო.**

ნინო ალექსანდრია

სპეცოპერაცია

## პოლიციის თანამშრომელი და ხუთი ბოევიკი დაიღუპა

დაღესტანში სპეცოპერაციის მსვლელობისას პოლიციის თანამშრომელი და ხუთი ბოევიკი დაიღუპა. სამი პოლიციელი დაჭრილია, — ამის შესახებ ინფორმაციას დაღესტნის შსს ავრცელებს.

რუსეთის ანტიტერორისტული კომიტეტის განცხადებით, ბოევიკები საბავშვო ბაღის სარდაფს აფარებდნენ თავს.

სპეცოპერაციის ადგილას ნაპოვნია 6 თვითნაკეთი ბომბი, თვითმკვლელის ორი ქამარი და დიდი რაოდენობით შეიარაღება, განაცხადა დაღესტნის შსს-ს წარმომადგენელმა ვიაჩესლავ ჰასანოვმა.

მოკლულებიდან ოთხი ადამიანი ძებნაში იყო. გამოძიების მასალების მიხედვით ისინი რამდენიმე მკვლელობაში იყვნენ ეჭვმიტანილნი.

ჯი-ეიჩ-ენი

## ფესტივალი

# გინდ თეთრი იყო, გინდა წითელი...



ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების მე-5 საერთაშორისო გამოფენა „Winexpo Georgia-12“ გაიხსნა გასულ შაბათს საგამოფენო ცენტრის „ექსპო ჯორჯიის“ მე-11 პავილიონში.

გამოფენის ოფიციალურ მხარდამჭერთა შორის არიან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი, ასოციაცია ქართული ღვინო და ღვინის კლუბი. საგამოფენო ცენტრის „ექსპო ჯორჯიასა“ და თბილისის მერიის ორგანიზებულ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო დაახლოებით 70 სხვადასხვა ორგანიზაცია, რომლებიც მნახველებს თავიანთ მომსახურებასა და პროდუქციას სთავაზობდნენ. განსაკუთრებით მრავალფეროვანი იყო კომპანიების პროდუქცია — მშრალი და შუშხუნა ღვინოები, სპირტიანი სასმელები, საწარმოო დანადგარები, შესაფუთი ტექნოლოგიები, ინგრედიენტები, სასუქები, დანამატები, ვაზისა და ვენახის მოვლის ტექნიკა, ნერგები, აქსესუარები, თიხის ღვინის ჭურჭელი, ოჯახური ტიპის არყის სახდელები, ღვინის ლაბორატორიის ხელსაწყო-დანადგარები, რამდენიმე ათეული სახის ყველი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან.

ფესტივალს განსაკუთრებული ეშხი შესძინა ცნობილი ღვინის მწარმოებელთა გვერდით წარმოდგენილმა მცირე და ოჯახის მარნებმა, რომლებიც განუმეორებელი ინდივიდუალიზმით და თვითმყოფადობით იყო გამორჩეული.

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საშემოდგომო ფესტივალი თბილისელთა გარდა დედაქალაქში უცხოეთის მრავალი ქვეყნიდან, კერძოდ, იტალიიდან, გერმანიიდან, ჰოლანდიიდან, მოლდოვიდან, უკრაინიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ა. შ. ჩამოსულმა სტუმრებმა მოინახულეს.

გამოფენის პარალელურად რამდენიმე სხვა ღონისძიება გაიმართა, მათ შორის ღვინისა და ყველის შეხამების შესწავლა, ყველის დამზადების





დემონსტრირება, რუსუდან გორგილაძის წიგნის „კერპთაყვანისცემა — კულინარიული მოგზაურობა დროსა და სივრცეში“ პრეზენტაცია, რომელშიც საინტერესოდაა მოთხრობილი ქართული სამზარეულოსა და სანადიმო ტრადიციების შესახებ, მოეწყო ქართული ღვინოების დეგუსტაცია უცხოელი ჟურნალისტებისთვის.

23 სექტემბერს „Winexpo Georgia-12“-ის ფარგლებში ღვინის მე-4 საერთაშორისო კონკურსი ჩატარდა, რა დროსაც კომპეტენტურმა საერთაშორისო ჟიურიმ ჟურნალისტებისა და ღვინის სპეციალისტების მიერ საუკეთესოდ შეფასებული ღვინოები საზეიმო სადილზე მედლებითა და დიპლომებით დააჯილდოვა.

**ოთარ ტურაბელიძე**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ჟურნალ-გაზეთებიდან



**„მზად ვარ, ამოვიცნო თითოეული ჯალათი!“**

— აცხადებს პარლამენტის ყოფილი წევრი, მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე, რომელმაც შარშან რამდენიმე თვე გაატარა გლდანის ციხეში, — ბათუმელი ბიჭი, დევიძე, თუ დევაძე, გვარი ზუსტად არ მახსოვს, ღამის 2 საათზე კარანტინიდან აიყვანეს კორპუსში, იქიდან კი სასტიკად ნაცემი დააბრუნეს. ამ ბიჭმა მომიყვა, რომ მთვრალი ხათუნა კალმახელიძე თავის თაყვანისმცემელ მამაკაცთან ერთად პირადად ადევნებდა თვალს მის წამებას.

დიახ, კალმახელიძე და მისი თაყვანისმცემელი შამპანურს სვამდნენ და სიამოვნებით უყურებდნენ პატიმრის წამებას.

„ასავალ-დასავალი“

**„მიშა გაიქცევა საქართველოდან“**

— დარწმუნებულია გოგა ხაინდრავა, — აჩვენეთ ეს კადრები მაკკეინს, კლინტონს, ამერიკას და საინტერესოა, რას იტყვიან... მივმართავ აშშ-ის ელჩს, რომ თეთრზე თეთრი თქვას და შავზე — შავი... სააკაშვილის რეჟიმი დამთავრდა, ხელოვნურ სუნთქვაზე ჰყავთ ახლა ამერიკასა და ევროპას, რადგან აქ არეულობა არ უნდათ!

„კვირის პალიტრა“

**მომღერლებმა საპროტესტო სიმღერა ჩაწერეს**

საქართველოში ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებს ხელოვანებიც აქტიურად შეუერთდნენ და პატიმრების წამებასთან დაკავშირებით სპეციალური სიმღერაც ჩაწერეს. „არ აწამო“ — ასე ეწოდება სიმღერას, რომლის ავტორიც მიშა მდინარაძეა.

სიმღერა კომპოზიტორის სტუდიაში თავად მიშა მდინარძემ, მომღერლებმა ლიზა ბაგრატიონმა, მაია ჯაბუამ, ნატო მეტონიძემ, მარიკა ქვარცხავამ, აჩიკო ნიჟარაძემ, ეკა მამალაძემ, ნატალია ქუთათელაძემ ჩაწერეს პატიმრების წამების ვიდეოებითა და საპროტესტო აქციების ამსახველი კადრებით.

„ახალი თაობა“

**„ოცნების“ აქტივისტების მასობრივი დაპატიმრება დაიწყო**

„ქართული ოცნების“ წევრებსა და მხარდამჭერებს მთელი ქვეყნის მასშტაბით იჭერენ. ამის გამო „ქართული ოცნების“ მხრიდან კეთდება განცხადებები, რომ ხელისუფლებას ვითარების დაძაბვა სურს. ამ მოსაზრებას ექსპერტთა დიდი ნაწილიც იზიარებს და არ გამორიცხავენ, რომ ხელისუფლების მიზანი არჩევნების გადადება იყოს.

„რეზონანსი“

**ინტერვიუ გიორგი აბდალაძესთან**

ეს არის ინტერვიუ, რომელსაც საზოგადოება ერთ წელზე მეტია ელის! „ალია ჰოლდინგის“ ფოტორეპორტიორი და „რუსეთის ჯაშუში“ გიორგი აბდალაძე ყველა კითხვას პასუხობს. იგი დღეს პირველად ისაუბრებს იმაზე, რაც იმ 15 დღის განმავლობაში გლდანის მერვე საპყრობილეში ნახა.

„ქრონიკა“

**იყიდება ბინა სასწრაფოდ!**

**ქალაქის ცენტრში, ოპერის უკან,** თაბუკაშვილის 32-ში სასწრაფოდ და ძალიან იაფად იყიდება 4-ოთახიანი, 100 კვ.მ. მაღალჭერიანი ბინა, დაშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 70 ათასი დოლარი. დარეკეთ საღამოს — 247-57-79.

რეკლამა 299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

**გუშინ** საქართველოს პარლამენტის საგანგებო სხდომამ მიიღო კანონი საქართველოს ტერიტორიაზე სამყაროს აღსასრულის აკრძალვის შესახებ. დამრღვევებს სერიოზული ჯარიმები დაეკისრებათ.

* * *

**ღირსებისა** და პატივის დაცვის შესახებ სარჩელი ყველაზე ხშირად შეაქვთ მათ, ვისაც არასოდეს არ ჰქონიათ არც ერთი და არც მეორე.

* * *

**ატირებული** დაშა დაქალს ურეკავს:

— ლუბა, ვერც წარმოიდგენ, რა მოხდა, დღეს ცოტა ადრე დავბრუნდი სახლში და ვნახე, რომ ჩემი ქმარი ვიღაც გოგოსთან კოტრიალობს საწოლში!



— შენ ახლა სახლში ხარ?

— ჰო, სამზარეულოში ვზივარ და ველოდები, როდის გამოვლენ საძინებლიდან.

ლუბა ტელეფონს თიშავს და ჩურჩულით ამბობს:

— დაგვერხა.

— ვინ რეკავდა?

— შენი ცოლი.

* * *

**ბიჭებო,** ნუ ეძებთ „სწორედ იმას“ კლუბებსა და ბარებში.

სწორედ იმას ღამღამობით სახლში ძინავს.

* * *

— **თქვენ** მაქ, საქართველოში, მართლაც ბედნიერი ხალხი ხართ!

— რატომ?

— იმიტომ, რომ წარმოდგენაც არა გაქვთ, რაოდენ ცუდად ცხოვრობთ.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24